1924 წ. 27 ივლისი.

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 8 კაპ. ნომერი

ბოლშევიკი

№ 14 მაზ. „კომუნისტი“-ს სალიტერატურო—საგანმანათლებლო ორგანოდ დაარსებულია № 14

როგორ იმალებოდა ილიჩი ჰელსინგფორსის პოლიცმეისტერთან

ივლისის დღეების შემდეგ, კერენსკის ბატონობის ყველაზე უსაძაგლეს პერიოდში, ვლადიმერ ილიჩი იძულებული იყო ფინეთში დამალულიყო. კრებულში „ლენინის შესახებ, რომელიც გამოსცა რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ მოთავსებულია ფინეთის კომპარტიის წევრის ამხ. როვიოს მეტად საინტერესო მოგონებები ილიჩის ცხოვრებაში ამ შესანიშნავი ეპიზოდის შესახებ.

1917 წ. აპრილის დასაწყისში ჰელსინგფორსის მუშათა ორგანიზაციებმა ამხ. როვიო ჰელსინგფორსის მილიციის უფროსათ აირჩიეს. როცა ამხ. შოტმანს, ფინეთის კომპარტიის წევრს, დაავალეს ლენინის ფინეთში გამგზავრების მოწყობა და მისთვის ბინის შოვნა, მან ყველაზე მოხერხებულად ჩათვალა ამხ. ლენინის მოთავსება სწორედ ამ ჰელსინგფორსის „პოლიცმეისტერის“ ბინაზე. ის სიცილით ამბობდა, რომ ალბათ, „კერენსკის არც ერთ აგენტს არ მოუვა აზრათ პოლიცმეისტერის ბინაზე შევლა ლენინის მოსაძებნათაო“.

აგვისტოს პირველ რიცხვებში ამხ. შტომანმა ჩამოიყვანა ლენინი ჰელსინგფორსში როვიოს ბინაზე.

„ჩამოსვლისთანავე,—მოგვითხრობს ამხ. როვიო,—ლენინმა დამიწყო კითხვა თუ როგორ შეიძლება რუსეთის გაზეთების მიღება და წერილების გადაგზავნა საკუთარი ფოსტით, რადგან ოფიციალური ფოსტით წერილების გადაგზავნა სახიფათო იყო. როგორც კი გაიგო რაც მისთვის საჭირო იყო, ლენინმა მითხრა რომ დამესვენებია, თვითონ კი ჯერ კიდევ იმუშავებს. მიუხედავათ იმისა, რომ უკვე გვიან იყო, ლენინი მიუჯდა მაგიდას, აიღო რუსული გაზეთები და დაიწყო მათი კითხვა, თან სწერდა. არ ვიცი რამდენი ხანი იმუშავა მან, რადგან მე დამძინა. გამომეღვიძა საათის ცხრაზე, დავხედე მაგიდას,—იქ იდვა რვეული წარწერით: „სახელმწიფო და რევოლიუცია“. როცა ნაშუადღეევის 4 საათზე მოვედი სახლში, ლენინმა მითხრა:

— მე დავათვალიერე თქვენი წიგნების შკაფი. მრავალი კარგი წიგნები გქონიათ, სწორედ რომ ისინი მესაჭიროება მე.

შემდეგ მან მთხოვა მეყიდნა მისთვის კვერცხი, ერბო და სხვა, სადილზე სასადილოდან წამ კატეგორიული უარი განაცხადა. სთქვა გაზის პლიტაზე ის მოახერხებს წყლის ადუღებას და კვერცხის მოხარშვას, მეტი კი არაფერი ესაჭიროება.

— ჩემთვის მთავარია გაზეთები. ოღონდ უგაზეთოდ არ დამტოვოთ!

წავედი სადგურზე და მოვიტანე მთელი გროვა რუსული გაზეთები, ყველა, რაც კი მაშინ გამოდიოდა. ასე მოვაწყეთ საქმე საღამოთი უდარაჯებდი საფოსტო მატარებელს, ვყიდულობდი ყველა გაზეთებს და მიმქონდა ლენინთან. ის დაუყონებლივ იწყებდა მათ წაკითხვას და სწერდა წერილებს გათენებამდი. დილით მე გადავცემდი მათ პეტერბურგში გადასაგზავნათ. დღისით ლენინი თვითონ იმზადებდა თავისთვის საჭმელს.

როცა ახლა, 6 წლის შემდეგ ვიგონებ ლენინის ცხოვრებას და მუშაობას ჰელსიგფორსში ბევრი რამ უკვე აღარ მახსოვს. მესხიერებაში შემრჩა მხოლოდ ყველაზე უფრო თვალსაჩინო ფაქტები და სურათები.

იცოდა თუ არა ვინმემ, რომ ვლადიმერ ილიჩი ჰელსინგფორსში იმყოფებოდა? რუს ამხანაგებიდან, რომლებიც ფინეთში ცხოვრობდენ, იცოდა მხოლოდ ამხ. სმილგამ. ეს დადიოდა ილიჩთან დი ისიც ყოველთვის ერცლად ეკითხებოდა მას მეზღვაურების და გარნიზონის სულიერი განწყობილების შესახებ, გაზეთის, სტამბის შესახებ და სხ. ფინელ ამხანაგებიდან იცოდენ მხოლოდ ც. კ. წევრებმა და ამხ. მანერმა, ფინეთის სეიმის დამჯდომარემ.

პეტერბურგიდან რამდენჯერმე ჩამოვიდა ამხ. შოტმანი. ერთხელ ის ჩამოვიდა კორნილოვის გამოსვლის შემდეგ და ამბობს:

— ვლადიმირ ილიჩ, ოთხი თვის შემდეგ თქვენ მოგიწევთ მთავრობის შედგენა, თქვენ პრემიერ-მინისტრი იქნებით.

არ მახსოვს შოტმანმა თუ სმილგამ ილაპარაკა ცნობილი დემოკრატიული თათბირის შესახებ და მას ჭაობი უწოდა. ვლადიმირ ილიჩმა ამ თათბირს სალაყბო უწოდა და სთქვა, საჭიროა ჯარისკაცების წაყვანა, ალყის შემორტყმა ალექსანდრეს თეატრისათვის და ამ დამპალი ჭაობის მთლიანად დატუსაღება,—საკმაოთ ილაყბესო,—დაუმატა. და ისე, ეშმაკური ღიმილით გეკითხა: „ხომ არ შეიძლება, ასე შემთხვევით ამის შესრულებაო?“

რადენადაც უფრო ახლოვდებოდა ოქტომბერი, ილიჩს უფრო და უფრო მოუთმენლობა ეტყობოდა, ის უკვე ველარ ითმენდა ჰელსიგფორსში დარჩენას. ერთ მშვენიერ დღეს მან მომიხმო და მითხრა, რომ უნდა უშოვო მას პარიკი, საღებავი წარბებისათვის, პასპორტი და მოუწყო ბინა ვიბორგში.

შემდეგ ამხ. როვიო მოგვითხრობს თუ როგორ იშოვეს პარკი მან და ლენინმა ნაცნობ პარიკმახერთან, შემდეგ ამხანაგების საშველებით—საღებავი წარბებისათვის, ფინეთის პასპორტი. ლენინი ამის შემდეგ ჩქარა გაემგზავრა ვიბორგში, იქიდან ცოტა ხნის შემდეგ პეტერბურგში. არა ლეგალური ცხოვრება დასრულდა.

როცა ილიჩის ცხოვრებაში ამ შესანიშნავ მომენტს აგვიწერს, ამხ. როვიო ცდილობს აღნიშნოს ის, რამაც ყველაზე მეტად გააკვირვა ის ლენინის ხასიათში. ამ შემთხვევაში ის ხელმძღვანელობდა ძველი ჭეშმარიტებით, რომ ადამიანის ხასიათი ყველაზე უფრო ირკვევა კრიტიკულ მომენტში.

ის ყველაზე უფრო გააოცა იმან, რომ ილიჩი მუდამ განსაცვიფრებელ სიმშვიდეს და სიმტკიცეს იჩენდა, თვით საშიშ კრიტიკულ მომენტებშიაც კი. „მოვიდა, პირდაპირ გზიდან, სადაც მას ყოველ წუთში დაპატიმრება მოელოდა და იმ წამსვე მიუჯდა საწერ მაგიდას სამუშაოთ. სწორეთ ჰელსინგფორსში ყოფნის დროს დაამთავრა ვლადიმირ ილიჩმა თავისი წიგნი „სახელმწიფო და რევოლიუცია“.

ჰელსინგფორსში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში, ვლადიმერ ილიჩს მცირედი ნერვიულობაც კი არ გამოუჩენია. როცა რაიმე სასაციელი ისტორიას გბიგებდა, მთელი თავისი არსებით იცინოდა.

მუშაობდა ვლადიმირ ილიჩი რეგულიარულად, ბევრს მუშაობდა.

მე შევნიშნე, რომ ვლადიმირ ილიჩი ყოველგვარ პირობეაში ფხიზლად აფასებდა მოვლენებს. ნებისყოფა მას რკინის კი არა, ეს რბილი იქნებოდა, არამედ ფოლადის ჰქონდა. როცა მე რაიმე დავალებას ვერ ავასრულებდი, ვლადიმირ ილიჩი საყვედურებით ამავსებდა. და რა რიგ არ უნდა მემართლებია თავი, ის თავისას ამბობდა, სანამ ყველაფერი ისე არ გაკეთდებოდა როგორც მას სურდა“.

ვ. ვ.

ნითელ უაზარმისკენ

(პრიმიტიული სურათები)

მთვარიანი ღამეა.

გაზაფხულის ანცი სიო დასთამაშებს საძილისპირ ნანით და ესალბუნება დღიურ შრომით მოქანცულ და დასასვენებლად გამზადებულ სოფელს.

სიჩუმეა.

აქა იქ თუ დაიყეფებს, სადმე, ფრთხილი ქაღლი შეგვიანებულ მგზავრზე, და მოისმის ურიის ჭრიალი კოფოზე მთვლემარე მეურმის ღიღინით.

მინდვრის მწერებს საიდანაც ნიავს მიაქვს სასიამო სურნელოვნება, გაუბამთ კონცერტი და ვენახით თვალდანაბულ ბულბულის კვნესა ეკლკენება გულის ნეტარებით შეუსურვაზებულ ხეივანს..

ირხეევიან ორღობეში ნერგები და აშარაშურებენ ფოთლებს ნიავის ამბორზე.

ღობეს ანკად ჩაურბის დაქანებული რუ და ლოთიანად უფაჩუნებს თავში, შხეფებს, ნაპირებზე მზის არშიყობით დამთვრალ დატკბილ სიზმრებში გართულ მწვანე ბაღის ბალიშებზე ყელმოღერებულ ყვავილებს, რომელნიც ზარმაცად იშმუშნავენ ტანს და ახედენ შეშინებულ თვალებს; იყურებიან ანკარა სარკეში ზმორებით, საიდანაც მთვარის ანარეკლი ჰეროვან კოცნას უგზავნის, და... ისინიც მორცხვი ღიმილით კვლავ ნაბავენ თვალებს ბალახთა ხავერდის სარეცელზე.

რუ კი, მირბის მოუსვენრად, კისკისებს...

—

სძინავს სოფელს.

მხოლოდ არ სძინავს ვანოს, რომელიც წყაროს პირას აჭყუდებია ნერგს და მოუთმენელი თვალები ელვის ისრებით სერავენ მეველე მათეს სახლს, რომლის სარკმელიდანაც ჯერ ისევ მოსჩანს ლამფის მკრთალი შუქი.

გული ელევა ლოდინით.

დღეს აქა აქვს უკანასკნელი პაემანი თებროსთან.

ხვალ დილით, განთიადისას, სადგურზე უნდა იყვეს თანამესოფლე ახალგაზრდობასთან ერთად.

ის ხომ ახალწვეულია.

მაღე წითელ ყაზარმასაც იხელავს, რომელზედაც ასე ბევრი ქება ესმოდა იქიდან ოვადო შვებულებაში დაბრუნებულ უფროს ძმის, ნიკოსაგან.

მოუთმენლობა ეტყობა, როგორც ყოველ შეყვარებულს, რომელსაც წუთები საუკუნეებად ეჩვენება.

— სადაა აქამდის? ი საცაა შუაღამე მიაწევს კიდეც, და!...—

ფიქრობს ის.

—

— რატომ არ წვები შვილო, არ გეძინება თუ რაა?—

უკვე მერამდენეჯერ ეკითხებოდა მათე თებროს, ერთად-ერთ შვილს და უკანასკნელ იმედს.

თედო ულარიბესი გლეხი იყო მთელ ამ სოფელში, უმიწა-წყლო და სხვასთან მუშაობით დატანჯული მოათრევდა დუხჭირ ცხოვრებას.

საყვარელი მეუღლე ადრე გარდაეცვალა, მას მიჰყვა მზრუნველობა და სიყვარული ერთად ერთ ქალს-ღა მოახმარა. თუმცა ჯერ კიდევ არ იყო გატეხილი და შეეძლო მეორე ცოლის შერთვა, მაგრამ არა ისურვა მიუხედავად მრავალ მაქანკლების ცდისა.

— მე არ მინდა, რომ დედინაცვლის ხელში ჩავაგდო ჩემი საყვარელი თებრო!

ეხლა კი, საჭოთა ხელისუფლება რომ დამყარდა—კმაყოფილია იგი, მის სიხარულს საზღვარი არა აქვს და ერთად-ერთი საფიქრებელი მისი არის თებროს დაბინავება, თებროს ბედნიერება, შესაფერ საქმროს შოვნა.

საბჭოთა ხელისუფლებამ მას მისცა კაი სამი დღიური ნაფუძარი ერთი პატარა, მაგრამ კარგი ვენახი, რომელიც მის ნაბატონარს ჩამოერთვა, და...

განა არა ჰყავს მხედველობაში სასიძოდ ამავე სოფლელი, კაი მშრომელი ვაჟკაცი და კაი ოჯახის შვილი—გოგლა,—რომელმაც ბევრჯერ გამოუგზავნა კაცები, მაგრამ.. მას ეძნელება სახლიდან მოწყვეტა საყვარელ შვილის, ძას უნდა ისეთი ვინმე, რომ ზედსიძეთ შემოიყვანოს, მას უნდა რომ... მაგრამ ყველა ამას ვერ უბედავს შვილს, მას უნდა რომ შვილი იძას მისთხოვდეს, ვისაც თვალით აირჩევს; მას არ უნდა შვილის გრძნობებზე იმოქმედოს მამის უფლებით და სიყვარულით, მას ესმის თუ რა არის თავისუფლება სიყვარულში, მიუხედავად იმისა, რომ მას არსად მიუღია სწავლა, მას მხოლოდ მორჩილება და მონობა ენახა, რომელიც თვალწინ უქროდა მოგონებათა კაბადონზე. თვითონაც ხომ თავისუფლად, სხვის მიერ ძალდაუტანებლად შეირთო ცოლი!

ის წევს ლოგინში და, მიუხედავად დაღლილობისა ძილი არ ეკარება მის თვალებს.

თებრო მორცხვია, გულჩათხრობილი, მაგრამ ის ატყობს მას, რომ მისი გული თავისუფალი არ უნდა იყოს, მას ამაზე ბევრს ეუბნებოდენ ჭორიკანა მეზობლები.

— გეყოფა მუშაობა, დაიძინე შე კუდრაჭავ. კვლავ განუმეორა თებროს, ხუმრობით.

— აი მამილო ამ ჯამებსაც დავრეცხავ, შეავსწყობ თაროზე, წყალსაც გადმოვიტან, ბარემ, რომ ხვალ დილა ადრიანად მოვზილო ცომი, და...

— აბა რა დროს წყალზე გადასვლაა ამ შუალამისას?!

— რა უშავს მამილო, მე არაფრის მეშინიან! ჩამოვარდა სიჩუმე.

ორივე ფიქრს მიეცა. მამა შვილზე ფიქრებმა წაიღეს და მრავალმა ეჭვებმა, შვილი კი... შვილი! მის ფაქიზ გულში იდუმალად მოკალათებულმა ვანოს სიყვარულმა, რომელსაც უკანასკნელად უნდა შეხვდეს დღეს და... აუტირდა გული; თვალის ქუთუთუებზე გადმოეკიდა ორი მძივი ცრემლებისა, ღაწვებმა ალისფრად შეუთამაშეს, ტუჩებმა კანკალი დაუწყეს.

თუმცა თავშალის წვერით მოიწმინდა, მაგრამ მათეს დაკვირვებულ თვალებს არ გამოპარვია.

უნდოდა შეჰკითხებოდა, დააპირა კიდეც, მაგრამ, თითქოს იდუმალმა ხმამ გააფრთხილაო, ჩურჩულით—შეჩერდა.

მას არ უნდოდა შეხებოდა მის უჩინარ ქნარზე ათრთოლებული სიმთა კვნესას. მას გული უკვდებოდა ამ სურათზე, და... მეტი სიყვარულის გამოდ ვერ უბედავდა. თანაც ატყობდა, რომ თებრო ჩქარობდა, და კი ვერ გაეგო თუ რად.

ისეთი სისუფთავის მოყვარული, როგორიც იყო თებრო და რომელსაც ისე ჰქონდა თუმცა ღარიბული, მაგრამ სოფლის დაგვარად კარგად მოწყობილი ოთახი, რომ ბევრს შური აღიძრებოდა, და სისუფთავით განთქმული, რომელსაც ხშირად შენატროდენ სოფლის გასათხოვარ გოგოების მშობლები—ეხლა ჯამებს ისე სახელდახელოდ რეცხდა და ალაგებდა.

მათეს ის იყო, ველარ მოითმინა და გაღიღი პირი, რომ ეკითხნა, მაგრამ...

სწორედ ამ დროს, თებრომ კოკას წამოავლო ხელი და გაიხურა კარი. თაროზე ჭრიჭინამ ბაიათი შემოსძახა.

—

— შენ გენეცვალე, თებრო! თვალები დამწყდა შენსკენ ყურებაში, ჩემო სიცოცხლევ! მე მეგონა, რომ...

— სუ!—გაულიმა სიამთ და ხელი ჰირზე მიაფარა. ახლა მე მკითხე როგორ მეჩქარებოდა, მაგრამ მამას რაღაცა არ ეძინებოდა და, ხომ იცი როგორ მიყვარს, არ მინდა, რომ... და მიაყრდნო თავი მკერდზე.

ვანომ ისე მოჰხვია მაგარი მკლავები, თითქოს წარომეგას უპირებდენო.

ატოკდა ორი გული და იწყო გამალებული ცემა. სიჩუმემ შეათამაშა უხმაუო ფრთები.

არც ერთ მათგანს არ უნდოდა ხმის ამოღება, რომ ამით არ დაერღვია ბედნიერი წუთები. ორი ბაგე ჩაკვროდა ერთმანეთს, და... თავდავიწყება უბეედნიერეს ლეგენდებს აძლიერებდა ნეტარების ჭიანურზე...

— მაშ მომიცდი გენეცვალე, ვიდრე სამსახურს გავათავებ? მაშ არ მიღალ...

— ო, შე უგულო! ნუ თუ ვერ ატყობ, თუ ვით მიყვარხარ, თუ როგორ ჩამოვხეი შენი ტრფობით?! ეუბნებოდა ნამტირალევი, საყვედურით, და უფრო ეხუტებოდა გულში.

— ეხლა შენ წახვალ იქ, ქალაქში, სამხედრო სამსახურში და ვინ იცის, ვის... იქაურ ქალებს ვინ გადაურჩება!..

— მაშინ მოკვდეს ვანო და ქუდი არ ეხუროს თავზე, რომ შენ ვისმეზე გაგცვალოს!..

ეს ისე მტკიცედ იყო ნათქვამი, რომ აშკარად სჩანდა აქ გულწრფელობა და გადაწყვეტილება.

— საყვარელო თებრო! განა მე არ შემეძლო მამაშენისთვის მეთხოვა შენი თავი? მაგრამ მე მინდა ჯერ ჩემი სამხედრო მოვალეობა მოვიხადო საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, ჯერ მინდა ღირსეულად მივიღო წითელ არმიელის საამაყო სახელი და მერე ისე დაგიბრუნდე და თამამად ვთხოვო მამას შენი ხელი.

ალბად ბევრს ეტყოდენ კიდევ ერთმანეთს სასიყვარულო სიტყვებს, ალბად ჯერ დიდხანს იქნებოდენ ასე გადახვეულნი, როგორც გულწრფელ შეყვარებულთ სჩვევიათ, მაგრამ მოულოდნელმა ფეხის ხმამ შეაკრთო ისინი, და ვერ შეამჩნიეს შეიძლება უნებური მოწმე.

— აჰ!!! შეჰკივლა ყრუდ თებრომ და კოკას წამოავლო ხელი ვანომ მუშტი შეიქნია, მაგრამ მაგარმა ხელმა შეაჩერა.

— ო, მათე, შენა?!

ესღა სთქვა და დარცხვენილმა ჩაღუნა თავი.

— ნუ გეშინიანთ შვილებო! ეს მე ვარ· ჩამოვარდა სიჩუმე.

შვილის წყაროზე დაგვიანებით შეშფოთებულს მათეს ვეღარ გაეძლო და წამოსულიყო.

ეჭვები გაუმართლდა.

ერთი კი დაფიქრდა, რაც უნდა არა იყოს რა სოფლის წესებზე იყო აღზრდილი, ასე, ახალგაზრდა ქალაკის შუაღამისას შეხვედრა, სოფლის ჭორიკანა დედაკაცებს საქმეს გაუჩენდა, მაგრამ ამაყად აიღო თავი მაღლა, ჯვარი გადაუსვა, გუნებაში, ძველ ჩვეულებებს და გადახვია ორივეს ხელი.

— ჩემო საყვარელო შვილებო! მაპატიეთ, რომ ძალა-უნებური მოწმე შეეიქენი თქვენი სიყვარულის. იყავით ბედნიერნი და გამახარეთ შვილის-შვილებზე. მე შენი ვაჟკაცური სიტყვა მომეწონა, ვანო. დე, ეგრე იყვეს. მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს თუ კი ჩემს ქალს უყვარხარ.

— მამა!!!

შეჰყვარა თებრომ და გადაეხვია მამას.

— მათე! აბა კარგად მიცნობ, თითქმის შენს ხელში გავიზარდე და მიცნობ ვინც ვარ. იმედია მაპატიებ ჩემს ქურდულად სიყვარულს თებროსთან.

— გაპატიებ კიარა, ხვალვე მამაშენთან დაგაბეზღებ, შე პლუტო, შენა!

იხუმრა.

— მამა!..

კვლავ განიმეორეს თებროს ტუჩებმა, თითქოს ემუდარებოდენ, რომ არ მოეყვანა სისრულეში მუქარა.

— გაჩუმდი შე ეშმაკო, შენა! შეგრჩეს რომ ჰამას ატყუებდი!

ორი დაოცხვენილი ახალგაზრდა იდგენ თავ-ჩაღუნულნი და თუმცა ცუდს არ მოელოდენ, მაგრამ მაინც ელოდენ უკანასკნელ განაჩენს; წარბებ ქვეშიდან ქურდულად ჰპარავდენ ერთმანეთს შეხედვას.

მათე კი თითქოს განგებ აგვიანებდა ხმის გაცემას.

მას გაახსენდა თავისი სიჯიელე, როდესაც თავის მაშოსთან ასევე იქნა წამოსწრებული მაშოს დედის მიერ, კალოზე, როდესაც მათე იფრინა კეტით და მაშო კი სახლისკენ გაიგდო კინწის კვრით.

დანაოჭ ბულ მოხუც სახეზე ბედნიერი ღიმილი აუთამაშდა და გადახედა ორივეს, მოოცხვად თავ-ჩაღუნულებს.

— აი თქვე უშნოებო, თქვენა! რაღას უყურებ, ვანო? აჰა შენი საცოლე!

და ძიაგდო თებრო ზედ

ორი, აუწერელ ბედნიერებით ათრთოლებული ტუჩები მოულოდნელად ჩაეკონენ ერთმანეთს.

მათე კი ლოცავდა წმინდის გულით.

—

მამლები ჯერ კიდევ ყიოდენ, სოფლის ახალგაზრდობა რომ დაიძრა სადგურისაკენ, სიმღერით და აახმაურა არე მარე.

ჩემო ლამაზო სოფელო,
წინ მინდორო—ოკან ტყეო,
ქალებისა სათამაშო,
ვაჟებისა სამოთხეო!..

დამღეროდა ახალ წვეულნი ფანდურზე, რომელიც თან მოჰქონდა ვანოს ამხანაგს ტატოს. გამომშვიდობება, კეთილი სურვილები მშობლებისა, მომავალ შვილებისადმი და დაბარება, რომ შერცხვენილი არც ერთი არ დაბრუნდეს შინ წითელ ლაშქრიდან.

აქვე აიან უვადო შვებულებაში მოსული წითელი არმიელები, როლებიც უძახიან ახალ წვეულებს:

— აბა, ამხანაგებო! თქვენ იცით თუ დაბლა არ დაუშვებთ იმ წითელ დროშას, რომელსაც ჩვენ სულ მაღლა ვსწევდით ბზის კოცნაში დასაფრფლად. თქვენთვის ჩაგვიბარებია ჩვენი შაშხანა თოფები, რომლებიც ამაყად დავგქონდა.

ყველა საბჭოთა ხელისუფლების საგუშაგოებზე!

— გაუმარჯოს წითელ ყაზარმას!

იყო ახალწვეულთა იმედიანი პასუხი.

— გადაეცით ჩვენს მასწავლებლებს, რომ თუ საჭირო იქნება, ჩვენ, ყველნი იქ გავჩნდებით პირველ საყვირზევე.

გაისმა ოხუნჯობა, ხუმრობა. დააგუგუნეს სიმღერა და ორმა წყვილმა გაშალეს მკლავები; ფეხები მარდად უსვამენ...

—

მზემ კავკასიონის მთაგრეხილით ამოჰყო თავი, თითქოს ეხლა ამდგარა საწოლიდანო და, თვალებს იფშვნეტსო—შეავარაყა, წითლად, მწვანე ხავერდის ახალუხიანი ველ-მინდვრები, რომელთაც ღილებივით ასხმოდენ წითელი ყაყაჩოები.

—

აიშალა ნახირი და გაისმა ბღავილი.

ახმაურდა სოფელი.

შარაგზაზე მიმავალ ახალწვეულთა სიმღერა შორს მისწყდა.

ჯერ კიდევ დიდხანს მოსჩანდა სოფლის ბოლოზე თებროს აფრიალებული თეთრი ხელსახოცი.

უკანასკნელად გაიხედა ვანომ სიხარულით შეათამაშა ქუდი ჰაერში, და მეეფარა ორლობეს.

ო, რამდენი ბედნიერება და სიყვარული იყო ამ უკანასკნელ გამოსალმებაში!

—

მზე კარგა იყო გადაწვერილი ორთქლმავალმა რომ შეჭიკვლა და გაჩირდა სადგურზე.

მოუსვენარი ქალიქის განუწყვეტელი ხმაური ეუცხოვა ვანოს.

იგი ხომ მშვიდ სოფელს იყო მიჩვეული!

დაიგრიალა ლეგიონის მუსიკამ შესახვედრი მარში და, მომღიმარე სახეები ჩამწკრივდენ ახალწვეულთა წინ.

ესენი იყვნენ მათი მომლოდინე მასწავლებლები,—უფროსთა და პოლიტიკური შემადგენლობა.

მიტინგი. მისალმება. ზეიმი.

— ვამა

ჯეკ ლონდონი

ზევ-გალმა

ძველი სან-ფრანცისკო, სან-ფრანცისკო მიწის-ძვრამდე, ხევით ორ-ნაწილათ იყოფოდა. ეს ხევი წარმოადგენდა რკინის ნაპრალს, რომელიც მიმართებოდა ბაზრის ქუჩის ცენტრზედ და ამ ხევიდან, ან ნაპრალიდან კი იწყებოდა უსასრულო ბაგირი, რომელიც გამობმულ ვაგონებს ზევით და ქვევით მიაგორებდა. თუმცა კი უნდა ითქვას, რომ ამნაირი ხევი ორი იყო; მაგრამ სან-ფრანცისკოს მაშინდელი მცხოვრებნი, მოკლე გამოთქმისათვის, ხშირად უფრო „ხევს“ ხმარობდენ. ხევის ჩრდილოეთით გაფანტული იყო თეატრები, სასტუმროები და მაღაზიები, შემდეგ მიყოლებული იყო ბანკები და მედიდური საქმიანი სახლები. ხევის სამხრეთით გაშენებული იყო ფაბრიკები, სამიკიტნოები, სასარეცხაოები, სახელოსნოები და მუშათა კლასის საცხოვრებელი ბინები.

ხევი თავისით მეტაფორიულად გამოსახავდა საზოგადოების კლასებათ დაყოფას და არავინ ისეთის წარმატებით ფერს არ იცვლიდა ამ საზღვრის ამა თუ იმ მხარეზედ, როგორც ფრედდი დრუმონდი. მან ჩვეულებად შემოიღო ორივე სამუშაოში ცხოვრება და ორივე სამყაროში თავისთავს საუცხოოთა ჰგრძნობდა.

ფერდდი დრუმონდი იყო კალიფორნიის უნივერსიტეტის სოციალოგიური ფაკულტეტის პროფესორი, და სწორეთ როგორც სოციოლოგიის პროფესორმა, მან პირველმა გადალახა ხევი, იცხოვრა ექვსი თვე ამ უზარმაზარ მუშურ უბანში და დასწერა წიგნი „არა კვალიფიციური მუშა“, რომელიც ყველგან დიდის თანაგრძნობით იყო მიღებული, როგორც პროგრესის ლიტერატურის ძვირფასი განძი და პესიმიზმის ლიტერატურისათვის კი ბრწყინვალე პასუხი. წიგნი—პოლიტიკურ და ეკონომიურის მხრივ არაფერს წარმოადგენდა და საკმაოდ შაბლონიური იყო, რკინისგზის მსხვილ კომპანიების წარმომადგენლებმა ამ წიგნის სრული გამოცემა შეისყიდეს საკუთარ მოსამსახურეთა შორის უფასოდ დასარიგებლად. მხოლოდ მარტო ფაბრიკანტების ასოციაციამ ამ წიგნის 50 ათასი ეკზემპლიარი გაავრცელა. ცნობილ შეხედულებით ეს წიგნი თითქმის იმგვარივე უზნეო ხასიათისა იყო, როგორც განთქმული „წერილი განსთან“, იგი თავისუფლად სბავშვო წიგნათ შეიძლებოდა მიგეღოთ.

პირველ ხანობაში ფრედდი დრუმმონდს მეტად ემძიმებოდა მუშა-ხალხთან ცხოვრება. იგი არ იყო შეჩვეული მუშების ფანდებს, ისინი კი უფრო ნაკლებად იყვენ შეჩვეული მის მანერებს. ისინი მას იქვის თვალით უყურებდენ. მას თავის წარსული ცხოვრებიდან არაფერი შეეძლო ეამბნა მათთვის, მას არ შეეძლო დაესახელებია რა ხელობას მისდევდა იგი უწინ. ხელები სუფთა ჰქონდა ⁄ მისი არაჩვეულებრივი ზრდილობა კი ცხადლივ საეჭვო იყო. თავდაპირველად მას საქმე წარმოდგენილი ჰქონდა ასე, რომ იგი თავს თავისუფლად დაიჭერს და დამოუკიდებელ ამერიკელად, რომელმაც ფიზიკური შრომის საქმიანობა მოისურვა და რომელსაც არ სურს ამის შესახებ ვისმეს ანგარიში გაუწიოს. მხოლოდ იგი მალე დარწუნდა, რომ საქმე ასე ვერ წავიდოდა. თავში, ძალიან მოკლე ხანს, ისინი მას უყურებდენ—როგორც ხუშტურიან ადამიანს, შემდეგ კი, როცა იგი პირობებს თანდათან შეეგუა, იგი მალე შეეცადა იმ როლში, რომელიც მას ძალიან მოუხდა—სახელდობრ, იმ კაცის როლი, რომელსაც უკეთესი დღეები ენახა, ბედნიერი დღეები, მხოლოდ რომელსაც ბედმა უმტყუნა, რასაკვირველია დროებით.

მან ბევრი რამ ახალი გაიგო; ბევრს, და არა იშვიათად შემცდარს, მოვლენას იგი აყოვლადებდა—რაც მას მოყვანილი აქვს „არაკვალიფიციურ მუშის“ ფურცლებზედ, თუმცა ის თავს იძვრენდა თავის პროფესიის ხალხის კეთილგონიერებით და კონსერვატორული მანერით მით, რომ თავის დასკვნას იგი „ცდას“ უწოდებდა. ერთ-ერთი ცდა მან იგემა ფილმაქსის საკონსერვო დიდ ფაბრიკაში, სადაც იგი პატარა ყუთების გაკეთებაზედ ნარდათ მუშაობდა. ფანერის ქარხანას მოჰქონდა ნაწილები და ფრედდი დრომმონდს ხბოლოდ ერთი რამის კეთება უხდებოდა: ნაწილებს აერთებდა და სუბუქი ჩაქუჩით მავთულიანი ლურსმებით ამაგრებდა.

ეს იყო არაკვალიფიციური შრომა, ეს იყო ნარდი საქმე. ჩვეულებრივ მუშები საკონსერვო ფაბრიკაზედ იმავე სამუშაოზედ აკეთებდენ ერთ დოლარ-ნახევარს. ფრედდი დრუმმონდი დარწმუნდა, რომ მის გვერდით ზანტათ მომუშავე მუშები აკეთებდენ დოლარსა და 75 ცენტს დღეში. მესამე დღეს მან ამდენივე გააკეთა. იგი პატივმოყვარე ადამიანი იყო. მას არ უყვარდა უგულო მუშაობა და, რადგან იგი მეტად ნიჭიერი და მარდი იყო, უკვე მეოთხე დღეს მან ორი დოლარი გააგდებინა. შემდეგ დღეს, აიყვანა რა შრომა უდიდეს დაჭიმვამდე, მან ორ-ნახევარი დორარი გააკეთა. მასთან მომუშავე მუშები უბღვეროდენ და ფრიად ენამახვილოვან, მხოლოდ მისთვის გაუგებარ, ენით შენიშვნებს აძლევდენ, რომ პატრონს „ულოკავს ⁄ ეხვევა. მას აკვირვებდა მათი საბოტაჟი ნარდ მუშაობაში, და მან გამოიყვანა დასკვნა არაკვალიფიციურ მუშების ბუნებრივ სიზანტის შესახებ და შემდეგ დღეს კი უკვე სამი დოლარის ყუთი მიაკაკუნა. ამ საღამოს, საკონსერვო ფაბრიკიდან გამოსვლის შემდეგ, მასთან მომუშავე მუშები შემოეხვივნენ და გამოძიების ქვეშ მოჰყვა, მუშები მას სეტყვასავით აყრიდენ ძრისხანე და ნაკლებ გასაგებ კითხვებს. მისთვის გაუგებარი იყო—რითი ხელმძღვანელობდენ იგინი, რომ მას ეგრე მისცივდენ. შეხლა-შეჯახება მეტად ცხარე იყო. და როცა მან უარი სთქვა მუშაობის მუყაითობის შემცირებაზედ და რაღაცა წაბურტყუნა თავისუფალ ხელშეკრულობაზე, „დამოუკიდებელ ამერიკანიზმზედ“ და შრომის ღირსეულობაზედ, იგი არც აცივეს, არც აცხელეს და ერთი ლაზათიანად შებერტყეს. ბრძოლა სახუმარო არ იყო, რადგან დრუმმონდი მაღალი და ახმახი კაცი იყო, მაგრამ დაბოლოს მაინც ამხანაგებმა ლაზათიანათ დაუზილეს გვერდები, პირისახე და დაუჩეჩვეს თითები, ისე რომ მთელი ერთი კვირა ლოგინში ეგდო, სანამ წამოდგებოდა და ახალ სამუშაოს მოსძებნიდა. ყველა ეს მას დაწვრილებით ჰქონდა აწერილი პირველი წიგნის ერთ თავში, რომელსაც სათაურად „შრომის მტარვალობა“ ჰქონდა.

ცოტაოდენი ხნის შემდეგ, როდესაც ფილმაქსის საკონსერვო ფაბრიკის უკვე სხვა განყოფილებაში მუშაობდა და ქალებს ხილეულობას უზიდავდა კონსერვებისათვის, მან განიზრახა ერთდროულად ორი ყუთის გადატანა ერთის მაგიერად, რაზედაც მან მაშინვე ამხანაგებისაგან საყვედური მიიღო. ეს კი აშკარა საბოტაჟი იყო; მხოლოდ იგი მსჯელობდა, რომ იგი ფაბრიკაში შევიდა არა წესრიგის შესაცველლად, არამედ სათვალთვალოთ. ამის შემდეგ იგი მხოლოდ თითო-თითო ყუთსა ზიდავდა და ისე მოხერხებულად გაურბოდა მუშაობას, რომ მან ამის შესახებ განსაკუთრებული თავი დასწერა, ამასთან მისი უკანასკნელი შენიშვნები მან უძღვნა „გაყოვლადების ცდებს“.

ამ ექვსი თვის განმავლობაში იგი მუშაობდა სხვადასხვა სპეციალობაზე, მისგან გამართულ მუშის რიგიანი ამიტაცია ჩამოყალიბდა. იგი წმინდა წყლის ლინგვისტი იყო; თან მუდამ უბის წიგნაკს ატარებდა, ეცნობოდა რა მეცნიერულად მუშების ჟარგონს, სანამ სრულიად კარგად არ შეისწავლა მათ ენაზე ლაპარაკი. გაეცნო რა ამ ენას, უფრო ახლო შეეძლო გადაეთვალიერებია მათი გონებრივი პროცესიც და ამ გვარად მან მომავალ წიგნის თავისათვის, რომლის „მუშათა კლასის ფსიქოლოგიის სინტაზათ“ მონათვლას აპირებდა, საკმაო მასალა შეაგროვა.

იმის წინ, სანამ ზევით, მაღლა ამოვიდოდა თავის დაბლა „ქვედა სამყაროში“ პირველ ჩაყურყუმელავების შემდეგ, ფრედდი დრუმმონდი დარწმუნდა, რომ იგი საუცხოვო აქტიორია და ბრწყინვალედ დაამტკიცა თავის ბუნების მოქნილობა. მას თითონ აკვირვებდა ეს მოქნილობა, შეისწავლა და დაიხშო რა თავისში რამოდენადმე ზიზღი; იგი დარწმუნდა—რომ მას შეუძლია თავი შეჰყოს მუშათა კლასის ცხოვრების ყოველ კუთხეში და თავს ხშვენიერად და თავისუფლად გრძნობდეს—როგორც საკუთარ სახლში. როგორც ის თავის მეორე წიგნში „მშრომელში“ განმარტავდა. იგი ნამდვილად შეეცადა მუშათა კლასი გაეცნო. ამის შეხასრულებლად ერთად-ერთი საშუალება იყო—მათ გვერდში ამოდგომა, მათი საქმლით საზრდოება, მათ ლოგინში ძილი, მათი გასართობებით გართობა, მათი აზრით აზროვნება და მათ გრძნობათა განცდა.

როგორც მოაზროვნე იგი არ იყო ღრმად მოაზროვნე და მას ახალი თეორიები ნაკლებად სწამდა, მის ყველა ნორმებს და კრიტერიებს პირობითი ხასიათი ჰქონდათ. მისი მსჯელობა საფრანგეთის რევოლიუციის შესახებ იმ კოლეჯის მატიანეში, სადაც ის იზრდებოდა, იყო ალნიშნული არა მარტო თავისი არაჩვეულებრივი აკურატობით და მოცულობით, რადგანაც იმით, რომ ეს იყო ყველაზედ მშრალი, ყველაზედ უსიცოცხლო და ყველაზედ ორტოდოქსალური ყბედობა, რაიც კი

როდისმე დაწერილა ამ ტემაზედ. იგი მეტად თავშეკავებული ადამიანი იყო და მისი ბუნებრივი დამჯდარობა იყო ფართე მოცულობისა და ფოლადივით მაგარი, მეგობრები მას ძალიან ცოტა ჰყავდა. იგი უმწიკლო იყო და არავის არ შეუმჩნევია, რომ იგი რაიმე მაცდურებას გაეტაცნა; თუთუნი მას სძულდა, ლუდი მას ეჯავრებოდა და თავის სიცოცხლეში არაფერი დამათრობელი რამე არ დაუყენია, თუ არ ჩავთვლით სადილზედ მსუბუქ ღვინოს. ჯერ კიდევ როდესაც იგი სკოლაში ახლად მიაბარეს, იგი „ყინულათ“ მონათლეს. გახდა რა ფაკულტეტის წევრად მან ზედმეტ სახელად მიიღო „საყინულე“. მას მხოლოდ არ ესიამოვნებოდა ზედმეტი სახელი „ფრედდი“, მან იგი მიიღო როდესაც საუნივერსიტეტო ფეხ-ბურთის გუნდში „ბეკას“ თამაშობდა; მისი სული ფორმალისტისა ვერ შერიგებოდა ამ სახელს. „ფრედდათ“ დარჩა იგი ამხანაგებისათვის, თუ არ ჩავთვლით ოფიციალურ შემთხვევების; და იგი შეძრწუნებული უყურებდა იმ დროს, როდესაც მას ქვეყანაში მოუწოდებდენ „ძველ ფრედდათ“.

მიტომ რომ—იგი მეტად ახალგაზრდა იყო სოციალოგიის დოქტორისათვის—სულ ოცდაშვიდი წლისა იყო და ახალგაზრდათ გამოიყურებოდა. გარეგნული შეხედულობით იგი იყო საუნივერსიტეტო დიდი ყალიბის კაცი, ჩასუქებული, მანერებით ხერხიანი, ფაქიზი, უბრალო და ჯან ღონით სავსე, საუცხოვო ატლეტის სახელით, რომელიც დაჯილდოებული იყო დიდი დამჯდარობით და გულგრილობით, თათბირის, კომისიების და აუდიტორიის გარეშე საქმეზედ არას დროს არ ლაპარაკობდა, ეგ არის უკანასკნელ ხანში, როცა მისმა წიგნებმა საზოგადოების გამაბეზრებელი ყურადღება მიიპყრეს, მას დრო და დრო უხდებოდა მოხსენების კითხვა ეკონომიურ და ლიტერატურულ საზოგადოებებში.

ის ყველაფერს კარგად აკეთებდა, ნამეტნავად კარგად. როგორც თავის გარეგნული შეხედულებით, ისე ტანსაცმლით იგი მუდამ უმწიკლო იყო. ის არც თუ დენდი იყო, სრულიადაც არა. იყო უბრალო, საუნივერსიტეტო ადამიანი თავისი ყოფაქცევით და ტანსაცმელით, რომელიც პირწავარდნილი ტიპი იყო უკანასკნელ ხანებში უმაღლეს სწავლების ტაძრიდან გამოშვებულ ხალხისა. ხელის ჩამორთმევა ჰქონდა ძლიერი და ხმელი. მისი თვალები ციოვად ბზინავდენ და აშკარა სიმართლით. ხმა მისი—მკვრივი და ვაკკაცური, ყურთასმენისათვის სასიამოვნო იყო.

ფრედდი დრუმმონდის ერთად-ერთი ნაკლი მისი თავშეკავება იყო. იგი რაღაცა მოუდრეკელი იყო. ფეხ-ბურთის დღეებში რაც უფრო თამაში ცხარდებოდა, იგი მით უფრო ნაკლებ მღელვარებდა. იგი განთქმული ბოქსიორი იყო, მხოლოდ, მას მანქანად სთვლიდენ, რომელიც სრულიად არაკაცობრივი სისუსტით იზომავდა მანძილს და კრივობდა. ის იშვიათად ყოფილა ნაცემი და აგრეთვე მას იშვიათად დაუძლეავია მოწინააღმდეგე. მეტად ჭკვიანი იყო და ძალიან იკავებდა თავს, რომ თავის-თავისთვის მეცა ნება მეტი ძალით დაერტყა, ვიდრე საჭიროთ სცნობდა. მისთვის ბოქსი ფიზიკური უბრალო ვარჯიშობა იყო.

ჟამთა ვითარებით, ფრედდი დრუმმონდმა ხშირ-ხშირად დაიწყო ხევ-გაღმა სიარული და ყურყუმალავება ბაზრის დასავლეთით—ჯურღმულებში. აქ ის ატარებდა დროს ზაფხულისა და ზამთრის ვაკაციებს, და იყო ეს საქმიანი თუ უქმე დღე—ის ყოველთვის აქ გატარებულ დროს სასიამოვნო და ძვირფასად სთვლიდა. „მას გარდა, იგი აქ აუარებელ მასალას აგროვებდა თავის წიგნებისათვის. მესამე მისი წიგნი „მასსა და მესაკუთრე“-ს ამერიკის უნივერსიტეტებში სასწავლო სახელმძღვანელოთ ხმარობდენ; და მან მობრუნებაც კი ვერ მოასწრო, რომ უკვე მეოთხე წიგნზედ მუშაობდა: „უძღურთა შეცდომა“-ზედ.

მის ბუნებრივ სიღრმეში არსებობდა ერთგვარი გარყვნილება, შესაძლოა ეს იყო წრისა და აღზრდის წინააღმდეგ მიმართული რეაქცია, ან წინაპართა ზომიერება და აკურატობა, რომელნიც რამოდენიმე თაობის სიღრმეზედ წიგნების ჭიებათ იყვენ. ყოველ შემთხვევაში იგი დიდ სიამოვნებას ჰგრძნობდა იმაში, რომ მუშათა ქვეყნებში ცხოვრობდა. მას საკუთარ სამყაროში „საცივე“-ს ეძახდენ, აქ კი „ქვევითა“, იგი იყო „დიდი“ ბილლი ტოტსი, რომელიც მშვენივრად სვამდა და სწევდა, იგინებოდა და მუშტი კრივობდა, და საერთოდ კარგი ძმა-ბიჭი იყო. ბილლი ყველას უყვარდა და არა ერთი და ორი გოგო ოხრავდა მასზე. თავდაპირველად იგი მხოლოდ კარგი აქტიორი იყო, მაგრამ, ჟამთა ვითარებით, სიმულიაცია მის მეორე ბუნებად გახდა. იგი უკვე როლს აღარ ასრულებდა და ნამდვილად შეუყვარდა ძეხვები, კალბასი და ქონი და მის საკუთარ ბუნებაში კი ამ საქმელისთანა საზეზღარი არაფერი იყო ქვეყნიერებაზედ.

შეუდგა რა ამ საქმეს, ვინაიდან ეს მას ესაჭიროებოდა, მას იგი შეუყვარდა როგორც ხელოვნება ხელოვნებისათვის. იგი დარწმუნდა იმაში, რომ ის გულგატეხით ჰფიქრობს იმ დროზედ, როდესაც უნდა დაუბრუნდეს თავის აუდიტორიას და დამჯდარობას. იგი ხშირად იჭერდა თავის-თავს იმაში, რომ იგი ოცნებობს იმ დროზედ, როდესაც მას შეეძლება ხელ-ახლა ხევ-გაღმა გადალახვა და ხელახლა იმ ცხოვრებაში გადავარდნა. იგი გაფუჭებული კაცი არ იყო, მაგრამ „დიდი“ ბილლი ტოტსის როლში ათასნაირ ისეთს რამეს სჩადიოდა, რასაც ფრედდი დრუმმონდი თავის-თავს არას დროს არ მისცემდა ნებას. ამას გარდა ფრედდი დრუმმონდს თავის სიცოცხლეში არ მოუნდებოდა ამის ჩადენა, რაც ყველაზედ მეტად იყო გასაკვირველი. ფრედდი დრუმმონდი და ბილლი ტოტსი სრულიად სხვადასხვა ბუნებისა იყვენ. მათი სურვილი, მათი გემოვნება და მისწრაფება სრულიად განსხვავდებოდენ. ბილლი ტოტსი წმინდა სინიდისით გაურბოდა მუშაობას, მაშინ როდესაც ფრედდი დრუმმონდი დიდ შეცოდვილობათ სთვლიდა ლაზღანდარაობას, ბოროტმოქმედებად და „არა-ამერიკანულად“, და მთელი თავები გაკიცხვისა უძღვნა თავის წიგნში ამ ცუდ ზნეს. ფრედდი დრუმმონდს არ უყვარდა ცეკვა, ბილლი ტოტსი არც ერთ საღამოს არ უყვებდა სხვადასხვა საცეკვაო კლუბებში, როგორიცაა „მონგოლია“, „დასავლეთის ვარსკვლავი“ და „ელიტი“. მან ჯილდოც კი მიიღო ვერცხლის აზარფეშა ოცდა-ათ დიუმიან სიმაღლისა, „ხორცისა და კალბასის წარმოების მუშათა კავშირის“ ყოველ წლიურ მასკარადზედ. ბილლი ტოტს უყვარდა ქალიშვილები, და ქალებსაც უყვარდა იგი, მაშინ როდესაც ფრედდი დრუმმონდი ამ მხრივ ნამდვილი ასკეტი იყო, ახდილად უარყოფდა ქალების ხმის უფლებას და ცინიკურად, თუმცა თავის გულში კი, ორივე სქესის ერთად აღზრდას ჰკიცხავდა.

ფრედდი დრუმმონდი ტანისამოსთან ერთად იცვლიდა თავის მანევრებს, და არაევითარი ძალდატანება არ უხდებოდა. შევიდოდა რა თავის პაწია, ბნელ ოთახში, რომელშიაც იგი ტრანსფორმაციას ახდენდა, მას ნამეტნავად გაბღინძული ეკაკა თავი. იგი წელში ნამეტნავად იყო გაშლილი. მისი მხრები მეტად გადაღუნული იყვენ უკან. სახე მას ჰქონდა სერიოზული, თითქმის მოღუშული და არსებითათ არაფრის გამომხატველი. მხოლოდ როცა იგი ბილლი ტოტსის ტანისამოსში გამოდიოდა, სრულიად სხვა კაცათ გამოიყურებოდა. ბილლი ტოტსი არ იბღინძებოდა, პირიქით მისი ფიგურა უფრო ნაზი და ტანადი ხდებოდა. თვით მისი ხმის ბგერაც კი იცვლებოდა, სიცილი მაღალი ხმისა და გულიანი უხდებოდა, და პირწახსნილი ენა კი, ზოგჯერ გინებაც, მის ბაგეთა ჩვსულებრივი საქმე იყო. ამას გარდა ბილლი ტოტს გვიანი საათები უყვარდა და ზოგჯერ სამაკიტნოებში უწყინარად გაჰკრავ-გამოჰკრავდა სხვა მუშებთან ერთად. შემდეგ კვირეულ პიკნიკებისა და თეატრებიდან დაბრუნების დროს, მისი ყოველი ხელი გინრჩეოდა უნაკლულო მაცთურობით ქალიშვილების ტანზედ ხელის შემოხვევის ცოდნაში და იგი დიდის მოხერხებით აწარმოებდა მხიარულ ფლირტს, როგორც კი მოსალოდნელია მუშათა წრის კარგ ძმა-ბიჭისაგან.

ბილლი ტოტსი იმდენად იყო თავის-თავად, იმდენად იყო მუშა, იმდენათ სისხლით და ხორცით ხევ-გაღმის მოქალაქეთ, რომ დაბოლოს შეითვისა საშუალო მუშის კლასობრივი შეგნება, და მისი სიძულვილი შტრეიკბრეხერებისადმი აკარბებდა პროფკავშირის მორიგე წევრებს. მუშური, წყლის ტრანსპორტის გაფიცვის დროს დრუმმონდმა განზე დადგომა მოახერხა ამ განსაცვიფრებელ კომბინაციისაგან და კრიტიკულის თვალით უყურებდა—თუ ბილლი ტოტსი როგორის სიამოვნებით სტყეპავდა შტრეიკბრეხერებს, ამიტომ რომ ბილლი ტოტსი პროფკავშირის წევრი იყო და აღშფოთების უფლება ჰქონდა. მის საშუშაოს ხელიდან გამომცლელთა საწინააღმდეგოთ. „დიდი“ ბილლი ტოტსი იმდენად ბუმბერაზი და მარდი იყო, რომ იქ სადაც დომბალი აირეოდა, „დიდი“ ბილლი ტოტსი უეჭველად პირველ რიგებში ტრიალებდა ხოლმე; დაიწყო რა აღშფოთების გრძნობით თამაში, ფრედდი დრუმმონდი თავის მეორე „მე“-ს როლში ნამდვილად განიცდიდა აღშფოთების გრძნობას და მხოლოდ უნივერსიტეტის კლასიკურ ატმოსფერაში დაბრუნების შემდეგ, იგი კეთილგონიერად და კონსერვატორულად იწყებდა ქვეყნერის მსოფლიოს ცდების დამუშავებას და ქაღალდზედ გადაჰქონდა, როგორც ეს შეუძლია გამოჩიჩქნილ სოციოლოგს. ფრედდი დრუმმონდი ნაათლად ჰხედავდა, რომ ბილლი ტოტს არავითარი შანსები არ ჰქონდა თავის კლასობრივ შეგნების ზევით ამაღლებისათვის. მხოლოთ ბილლი ტოტს ეს არ ესმოდა. როდესაც იგი ხედავდა, რომ შტრეიკბრეხერები მას საშუშაოს სტაცებდენ, ის იმ წამსვე ცეცხლივით ენთებოდა და უკვე აღარაფერს ჰხედავდა. ფრედდი დრუმმონდი კი უმწიკლოთ ჩაცმული და უმწიკლო სახით, თავის მაგიდასთან მჯდომი, ან სოციალოგიის № 17 აუდიტორიის წინაშე მდგომი, შორიდან თვალს ადევნებდა ბილლი ტოტს და მის გარშემო მყოფი, ფიქრობდა შტრეიკბრეხერებისა და პროფკავშირების პრობლემებზედ, მის მნიშვნელობაზედ შეერთებულ შტატების ეკონომიურ კეთილდღეობის შესახებ მსოფლიო ბაზრის ხელში ჩაგდების პირობებში. ბილლი კი ნამდვილად არასფერს ჰხედავდა მომავალ სადილის გარეშე და „მომხიარულე ატლეტების კლუბში“ დანიშნულ კრიეისათვის ჯილდოს გარეშე.

გ. ბარნაბიშვილი

(შემდეგი იქნება).

ტერტერაპს ოინები

I

ეს ამბავი დედაჩემმა მიამბო.

მუხრანის ქუჩასა და წისქვილის შესახვევის კუთხეში, ქუჩის ბოლოს ორსართულიანი სახლი იდგა, რომელსაც ეზოს ძირზე ჩამოუდიოდა მტკვრის პატარა შენაკადი.

ეს სახლი მამაჩემმა დაგვიტოვა ანდერძით მე და დედაჩემს და ის შეადგენდა ჩვენის ცხოვრების წყაროს. გარდა ამისა, გვქონდა მეორე წყაროც—ეს იყო მეწველი თხა, ჩვენი საყვარელი ბეკეკა.

ჩვენი სახლი შესდგებოდა ხუთმეტი ოთახიდან. ზოგ ოთახებში წვიმა ჩადიოდა და საცხოვრებლად არ ვარგოდა, ზოგში კი მდგმურები იდგნენ.

ეს მდგმურები ზოგი აბაზს იძლეოდა ქირას, ზოგი ორ აბაზს და ზოგიც არაფერს; ასე რომ ორი ფუთი ფქვილისა ძლივს გვიგროვდებოდა თვეში. თორნეც ოქვე გვქონდა. პური და თხის რძე იყო ჩვენი საზრდო, ხორცი და სხვა ამგვარი რამ ჩვენთვის უცხო ხილი იყო.

ეს ჩვენი უბანი მაშინ ძლიერ სუსტად იყო დასახლებული და ავანაანთ ხევიც, რომელიც სოლოლაკიდან დაწყებული აქ თავდება, ღია იყო.

ჩვენი თხა ყოველთვის სახლთან ახლო სძოვდა ბალახს და შორს არსად მიდიოდა. მე თითქმის ერთავად იმის დევნაში ვიყავი.

დედაჩემი ნამეტურ საცოდავი რამ იყო. მამაჩემი რომ მოკვდა, ჩვენ ბევრი რამე გვქონდა—ქვაბები, ხალიჩები, ლოგინები და სხვა ნივთები.

ჩვენნ უსინდისო მდგმურები სარგებლობდნენ დედაჩემის გულკეთილობით და ნელ-ნელა ყველაფერი მიჰქონდათ მოტყუებით.

ჩვენ მდგმურებს შორის ერთი ტერტერაც იყო, რომელსაც ზედა სართულში სამი ოთახი ეკავა თვეში ერთ მანეთად, მაგრამ ტერტერა დედას ყოველთვის ატყუებდა და იმის მაგიერ, რომ ყოველთვე მოეცა მანეთი, ის იძლეოდა ამ მანეთ.ს ხან ორ თვეში, ხან სამ თვეში ერთხელ.

— ტერტერჯან, რა იქნება, რომ ყოველთვე მომცე ხოლმე ეს მანეთი,—საყვედურით უთხრა ერთხელ დედაჩემმა.

ამ სიტყვებზე ტერტერა ძლიერ გაბრაზდა და გაჯავრდა.

— განა მე ყოველთვე არ გაძლევ, შე გამოტენებულო?!—ყვიროდა ბრაზმორეული.—შენ გგონია მე გატყუებ?! განა მე მატყუარა ვარ, რომ მოგატყუო?! მე დღეში სამჯერ ყოველ დღე ჯვარი და სახარება შეეჩირავს და ვლოცულობ, ღმერთს ვევედრები ცოდვილთა ხსნისათვის და შენ კი მაგას მეუბნები?!

— ტერტერჯან,—მოკრძალებით და შიშით მიუგო დედამ,—აბა ყოველთვე როდის იძლევი, რომ ქრისტეშობისთვეს აქეთია, რაც არაფერი მოგიცია, და ახლა კი გაზაფხულია:

ტერტერამ პირიდან ცეცხლი გადმოჰყარა და გაბრაზებული დაიყვირა:

— შე უნამუსო, არა გრცხვენიან! აბა რას ამბობ?! შენ ვერა მხედავ მე ვინა ვარ?! შენ გინდა, რომ დაბრმავდე და ვერაფერი დაინახო?! შენ გინდა, რომ ისე გაშშდე, როგორც ხე!?—ღრიალებდა ტერტერა.

— არა, არა, ტერტერჯან,—შემიბრალე! აღარაფერს ვიტყვი!--ლუღლუღებდა ზარდაცემული დედაჩემი და მუხლებზე წამოჩოქილი პირჯვარისწერით მიწას ჰოცნიდა ტერტერას ფეხებთან. მეც, არა-ნაკლებ შეშინებული, იმასვე ვიმეორებდი, როგორც დედაჩემი იქცეოდა.

როდესაც ფეხზე წამოვდექით და ტერტერას შევხედე, ისე ჩაცრად დაგცყურებდა, თითქო ჩაყლაპას გვიპირებსო.

— ახლა მიპატიებია და შემდეგში აღარ გამიბედოთ მაგეთი რამე!—„დიდსულოვნად“ გვაპატია „დიდსულოვანმა“ ტერტერამ.

საღამო ხანი იყო. სასტიკათ დამარცხებულნი ჩავიკეტეთ სახლში. დედაჩემმა წმინდა სანთლის ნამწვი დაანთო და სასოებით ლოცულობდა.

დარმწმუნებული მასში, რომ ტერტერას შეეძლო ჩვენი დაბრმავებაც და ხესავით გაშშებაც, დედა ჩემი ევედრებოდა ღმერთს—ტერტერას ნუ უსმენო...

ამ დროს შემოგვესმა საშინელი ბღავილი ჩვენი თხისა. თხას სხვა დროსაც უბღავლია, მაგრამ ასეთ ხმაზე არა.

— შუშანი, შუშანი, თქვენი თხა ცგელმა მოიტაცა!—დაგვიძახეს მდგმურებმა.

როდესაც გარედ გამოვარდით, ჩვენი თხა აღარ იყო და არც მისი ხმა ისმოდა.

მგელმა ხევისკენ გაიტაცა თურმე.

ჩვენი მდგმურები დაედევნენ და თხა პირიდან გააგდებინეს მგელს, რომელსაც უკვე ყელი გამოეჭრა.

ჩვენს მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ რა გაეწყობოდა.

ტერტერამ თხა თავის სამზარეულოში შეიტანა, ხოლო მეორე დღეს ჩემი თვალით ვნახე, რომ იარმუკელი ყასაბი აკოფა, რომელიც ჩვენზე ცოტა მოშორებათ ცხოვრობდა, ჩვენს სულიერ მამას რაღაცა შაურიანებს უთვლიდა ხელში, არ ვიცი კი რადა!..

— ტერტერჯან, ჩვენი თხა რა უყავი?—ჰკითხა მეორე დღეს დედაჩემმა.

— წუხელის მშიერ ძაღლებს ვაჭამე—უპასუხა ტერტერამ.

— მადლი გიქნია, შენი მადლის ჭირიმე, ძაღლებსაც ჭამა უნდა, მაგრამ ახლა ჩვენ რომ ურძოდ დავრჩით!

— არა უშავს, შვილო,—ანუგეშა ტერტერამ,—ღმერთი ილოცე, და ყველაფერს მოგცემს—რძესაც და პურსაც...

დედაჩემიც გულმხურვალედ ლოცულობდა ყოველდღე შინ თუ საყდარში...

II

— შუშანი, თქვენი თხა, მამაჩემი ამბობს, ტერტერამ აკოფას მიჰყიდაო,—მოგვახარა დურგალ გასპარას პატარა ბიჭმა.

— აკოფას კი არ მიჰყიდა, მშიერ ძაღლებს აჭამა!—გაამართლა დედაჩემმა ტერტერა და მართალიც იყო—ძაღლებად იგი ჰგულისხმობდა ადამიანებს, რომლებზედაც აკოფამ გაასაღა ჩვენი თხა.

მას მერმე, რაც თხა დავკარგეთ, ცუდ მდგომარეობაში ჩავვარდით; მანამდე თუ რძე და პური იყო ჩვენი საზრდო, ახლა მარტო პური გვქონდა საჭელად და წყალი, მაგრამ ბოლოს ტერტერამ ეს პურიც წაგვართვა და მარტო წყლის ანაბარად დავრჩით...

დედაჩემი წყალწაღებული და მეტად საცოდავი იყო, ხმის ამოღებისაც კი ეშინოდა, მე კიდევ მაშინ თორმეტ-ცამეტი წლისა ვიყავი და არაფერი გამეგებოდა. ამითი ისარგებლა ტერტერამ და ცარიელზე დაგვსვა.

— ქალია, შუშან, აქ ამოდით!—დაგვიძახა ერთ მშვენიერ დღეს „გულკეთილმა“ ტერტერამ და სუფრაზე შემოგვპატიჟა.

— სადილი ვჭამოთ, ცოდვა ხართ, სულ ერთავად ცალიერ პურის ჭამა არ იქნება,—სთქვა ტერტერამ და დავიწყეთ ჭამა.

სუფრაზე იმდენი საჭმელი იყო, რომ არ ვიცოდი, რომელი მეჭაჭა—თეთრი პური, ყველი, მწვადი, ფლავი, მწვანილი...

— აი, ტერტერჯან, რომ ლოცულობ, იმიტომ ყველაფერი გაქვს, ღმერთი გაძლევს,—სთქვა დედაჩემმა.

— მაშ, შვილო, თქენც ილოცეთ, ღმერთს სანთელი დაუნთეთ და ყველაფერი გექნებათ...

— სანთლის ფული სადა მაქვს, ფქვილს ძლივს ღა ვყიდულობ, ტერტერჯან!

— აგრე ნუ ამბობ, შვილო, ცოდვაა,—მკაცრად წარმოსთქვა ტერტერამ,—ღმერთს ეწყინება; პური უნდა დაიკლო და სანთელი კი დაუნთო!

ამას შემდეგ დედაჩემი ყოველ დღე ანთებდა ორ თითო კაპეიკიან სანთელს, რომ ღმერთს არა სწყენოდა“!—ერთს თავისთვის, მეორეს კი ჩემთვის.

ამიერიდან იმ ჩვენ მცირე შემოსავლიდან უნდა გადაგვედო თვეში სამი აბაზი ღმერთისთვის სანთლის დასანთებად...

III

ჩვენი „გულკეთილი“ ტერტერა სამი დღე ზედიზედ გვეძახდა და სადილს გვაჭმევდა, ხოლო მეოთხე დღეს დინჯად მიჰმართა დედაჩემს:

— ქალია, გინდა, რომ ყოველ დღე ჩემთან ისადილოთ და გემრიელი საჭმელები ჭამოთ?

— ტერტერჯან, სიკეთეზე ვინ იტყვის უარს,—მიუგო დედამ,—მაგრამ, როგორ იქნება, რომ ყოველ დღე თქვენი შესანახი გაგხდეთ?!.

— არაუშავს რა,—სთქვა ტერტერამ,—დღეიდან მე მიკისრია თქვენი შენახვა...

ამ სიტყვებთან ერთად კამოდიდან ამოიღო თაბახი ქაღალდი და დედაჩემს დაუდო წინ. რა ეწერა ამ ქაღალდში არ ვიცოდით არც მე და არც დედამ. ტერტერამ უბრძანა

და დედამაც ცუდათ იცოდა ქართული კითხვა, ხელი მოაწერა წაუკითხავად.

— ეს რა ქაღალდია, ტერტერჯან?—ხელისმოწერის შემდეგ ჰკითხა დედამ.

— ეს ის ქაღალდია, რომ თქვენ ცარიელი პური კი არ უნდა ჭამოთ, არამედ უნდა ჭამოთ ხორცი, ყველი, ფლავი და სხვა; თქვენც ადამიანები ხართ, ცოდვა ხართ, თქვე საწყალებო.

— მადლობელი ვარ, ტერტერჯან, რომ აგრე გებრალებით,—უთხრა მისი სიტყვებით აღძრულმა დედამ,—შენ ჩვენი მხსნელი, ჩვენი ქრისტე ხარ!..

IV

მეორე დღეს, ჩვენს გარდა, ტერტერასთან სადილად იყვნენ ყასაბი აკოფა და ვიღაც ჩოფურა კაკარდიანი. დიდხანს ლაპარაკობდნენ ისინი და თან ღვინოს სვამდნენ. ჩვენ იმათი არაფერი გვესმოდა, რადგან ლაპარაკი სომხურად სწარმოებდა.

— აბა, ქალია, ჩვენი ქაღალდი გავამგროთ!—უთხრა ტერტერამ დედას და ზედიზედ ორი ჩაის ჭიქა ღვინო გადააკვრევინა.

— ბატონებო,—მიჰმართა ქართულად ტერტერამ სტუმრებს,—აი ეს საწყალი დედაკაცი—უჩვენო დედაჩემზე—ჩემი კარგი მეკობრის ტერ-ოსკანას ქვრივია. მე ვპირდები ამას, რომ მფარველობა გავუწიო როგორც სულიერმა მამამ და ხელსაც ვაწერ ამ პირობას... თანახმა ხართ, რომ თქვენც მოაწეროთ ხელი?

— თანახმა ვართ,—წამოიძახეს ორივემ ერთად და ხელი მოაწერეს წინა დღით დედაჩემისაგან ხელმოწერილ ქაღალდს.

ამის შემდეგ ტერტერა უფრო გამხიარულდა და „სულო ბოროტოს“ მღეროდა.

დედაჩემი კი ისე დათვრა ორი ჭიქა ღვინით, რომ სახლში ძლივს ჩავიდა.

გვიხაროდა, რომ ტერტერამ ჩვენი „მფარველობა“ იკისრა, მაგრამ ის კი არ ვიცოდით ჩვენ უბედურებმა, რომ ამ ჩვენ „მფარველმა“ სულიერმა მამამ ყასაბი აკოფასი და კაკარდიანის დახმარებით ცოცხლად დაგვმარხა, დაგვასამარა...

V

მთელი კვირა გვანებივრა ტერტერამ.

მთელი კვირა „ბედნიერები“ ვიყავით. ისე მივეჩვიე ტერტერასთან სადილობას, რომ დაძახებას აღარ ვუცდიდი და სუფრას პირველი მე მოვუჯდებოდი ხოლმე.

სადილობის დროს დედაჩემი სულ ეზოში ტრიალებდა, რომ ტერტერას დაენახა, არ დავიწყებოდა და დაეძახნა.

მეორე კვირას ჩვეულებრივ გამოვიპარე სუფრაზე სადილის მოლოდინში.

— შენ დაგიძახეს, რომ გამოიპარე მანდ!—დამიღრიალა ტერტერას ცოლმა:—ადე, ჩადი ძირს, როცა დაგიძახონ, მაშინ მოდი!

მეტი რა გზა მქონდა—დავემორჩილე მის ბრძანებას. დედასთან ერთად მეც ეზოში ვდგებოდი დაძახებას, მაგრამ ჩვენს ლოდინს ბოლო არ უჩანდა.

თითონ უკვე ისადილეს. ტერტერა აივანზე იჯდა და კბილებს იჩიჩქნიდა. მე საშინლად მიკვირდა, თუ რატომ არ გვეძახიან და უჩვეულოდ სადილობენ...

კარგა ხანს შევყურებდით მშიერი ძაღლებივით მაძღრების აივანს. მოთმინება ველეოდა.

— შუშანავ, მოშავდი აქა! —დაიძახა ტერტერას ცოლმა:—მოდი კერძი წაიღე!

გახარებული ავირბინე აივანზე, სადაც მივიღე ერთი ჯამი წყალწყალა წვენი უხორცოდ, ნაჭერი შავი პური და ცოტა მწვანილი. ესეც კარგი იყო ჩვენთვის, რადგან სახლში ერთი ნამცეცი პური არ გვქონდა.

მეორე დღეს ძალზე მომშეული მივადექი ტერტერას სამზარეულოს.

— ჰაი, შე არ დასაცალებელო, როგორ მიეჩვიეთ მუქთახორობას!—გაჯავრებული მითხრა ფოფოდიამ:—დაიკარგე აქედან, ვინემ არ დაგიძახო, შენი გასახმობი ფეხი აქ არ ვნახო!

საშინლად ნაწყენი ჩამოვედი ძირს და ვუამბე დედას, რაც კი გავიგონე.

— რა ვქნათ, შვილო, მეტი ოა გზაა, უნდა მოვიცადოთ,—სთქვა დედამ და ჩვენც ველოდით დაძახებას.

მზის ჩასვლამდე ველოდით სიმშილით დაბნედილები, მაგრამ ჩვენი დაძახება ფიქრადაც არავის მოსვლია.

— ადი, შვილო, მაღლა, ეჩვენე,—მითხრა დედამ,—იქნება დავავიწყდით...

შიშით და მოკრძალებით ავედი მაღლა.

ტერტერა დივანზე იყო წამოწოლილი, ფოფოდია იქვე უჯდა და რაღაცას უამბობდა. ჩემს დანახვაზე ფოფოდია საშინლად გაანჩხლდა და დაიძახა:

— შე ამოსაწყვეტო, ვერ გაიგე, რა გითხარი გუშინ?!

— დედამ სთქვა იქნება დაავიწყდათო,—გაუბედავად მივუგე მე.

— დედაღვთისა გაგიწყრეთ თქვენ!—მითხრა გაანჩხლებული, გამომიტანა პურის ნატეხი, ორი ღერი მწვანილი და ტერტერას რაღაც წასჩურჩულა სომხურად. უკანასკნელი წამოდგა და მითხრა:

— ვინემ არ დაგიძახონ, ისე არ მოხვიდე, თორემ, ხომ ხედავ, აი ჭალატონი ჯავრობს...

— გვშიან, ტერტერ, სიმშილით ნაწლავები გვეწვის, მაშ რა ვქნათ?—ეუთხარი მე და საჩქაროდ ჩამოვირბინე ძირს.

ტერტერას დანაპარები გადავეცი დედას, რამაც ძალიან დაიღონა. გადასწყვიტა, რომ ისევ ისე უნდა გვეკვება ჩვენი თავი, როგორც მანამდე ვიკვებებოდით—პურით და წყლით.

თვე უკვე დალეული იყო, დრო იყო ქირების აკრეფისა და ჩვენც ჩამოვუარეთ ჩვენს მდგმურებს, მაგრამ ქირა არავინ მოგვცა, რადგან ტერტერას გამოეცხადებინა მათთვის, რომ სახლი ამიერიდან ჩემიაო და არამც და არამც ქირა სხვას არავის მისცეთო...

ასე მოგვესპო ჩვენ ფქვილის ყიდვის საშუალებაც.

ძალაუნებურად უნდა გვეცქირნა ტერტერასთვის, თუ როდის გადმოგვიგდებდა ლუკმა პურს. დედა-შვილნი საცოდავად ვყელყელაობდით ტერტერაოს აივანთან ლუკმა პურის მოლოდინში.

ხან გვერგებოდა ხოლმე ლუკმა-პური, ხან არა. თითონ ტერტერა ან ფოფოდია ხშირად გადმოგვძახებდნენ: დღეს თქვენთვის არაფერი დარჩაო... ჩვენც იმ დღეს მშივრები ვიძინებდით.

VI

— ტერტერჯან, ეს როგორ იქნება, რომ შენის ბრძანებით აღარც ქირას გვაძლევენ მდგმურები, რომ ფქვილი ვიყიდოთ და აღარც პურს გვაჭმევ?—მიჰკითხა დედაჩემმა ერთ საღამოს.

— შვილო ქალია,—დინჯად დაიწყო ტერტერამ,—სახარება ბრძანებს: „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო“, და ჩვენც, ქრისტიანებმა, უნდა მოვითმინოთ ყველაფერი... ქირები სახლისავე შეკეთებას მოხმარდება, ხოლო, რაც შეეხება ჭამას, გაჭვეთ ისე, როგორც შემიძლიან... ახლა წადით, შვილო, ილოცეთ, რომ ღმერთმა მოგცეთ ყველაფერი, რაც კი საჭიროა!—დაბოლოვა სიტყვა ტერტერამ, პირჯვარი გადაგვწერა და ოთახის კარი ჩაიკეტა.

იმ ღამეს დედამ ბევრი ილოცა, მეც მალოცა და ლოცვის შემდეგ დავწექით ცარიელი კუჭით.

ლოცვაში დედაჩემი ეეედრებოდა ღმერთს, რათა მას მოეცა ჩვენთვის საზრდო...

დილაზე, გამოგვეღვიძა თუ არა, მაშინვე განჯინას ვეცით, მაგრამ ღმერთს ჩვენი ლოცვა არ ესმინა და განჯინაში არაფერი დაედო ჩვენთვის...

ბოლოს სასამართლოს მივმართეთ, მაგრამ ხელმწიფის სამართალმა აქაც ჩვენ გაგვამტყუნა და საბრალო დედა ტირილ-ღრიალით დაბრუნდა სახლში.

„გამარჯვებული“ ტერტერა საშინლად ამხედრდა ჩვენ წინააღმდეგ. გვლანძღავდა, ეზოში აღარ გვაყენებდა და სახლიდან გაგდებას გვიპირებდა. ჩვენ იძულებული ვიყავით ტირილით შეგვებრალებინა თავი, რომ ჩვენივე საკუთარი სახლიდან გაოთ არ გამოვეყარეთ...

VII

დავემორჩილეთ ბედს...

ჩვენი მარჩენელი, ჩემი მამა, ღმერთმა წაგვართვა.

მეწველი თხა, რომელიც ჩვენ რძეს გვაძლევდა, მგელმა გადასანსლა.

სახლი კი, რომელიც ჩვენ გვაძლევდა იმდენ ფულს, რომ ფქვილი გვყიდნა თვეში ერთხელ, ტერტერამ წაგვართვა.

ჯანგატეხილმა, ნახევრად დაავადებულმა დედაჩემმა მიჰყო მუშაობას ხელი: ჩვენ ყოფილ მდგმურებს ურეცხავდა სარეცხს, უცხობდა თორნეში პურს და ამითი აღებული ფულით ვყიდულობდით ფქვილს; მეც ვეხმარებოდი რითაც კი შემეძლო და ასე ვირჩენდით თავს წუთისოფელში. პური და წყალი იყო ჩვენი საზრდო, და ეს პურიც ყოველთვის არ გვქონდა. სოკო, რომელიც უხვად იყო ჩვენი სახლის მიდამოზე, არ იქმეოდა; არც ჩვენ, არც ჩვენი მდგმურები, ხელს არ ვახლებდით. ტერტერას სიტყვით, „ამ სოკოებს ღამე გველი ულიდა და შხამავდა... არამც და არამც ხელის ხლება არ შეიძლებოდა“. თითონ კი ყოველთვის

ჭკრეფდა „შხამიან“ სოკოებს, რომელთაც უგზავნიდა ვითომდა თავის მეგობარს ცხვრისთვის; ცხვარს კი გველის შხამი არა ვნებს!..

ასე გვატყუებდა ტერტერა, რომ სოკოებისათვის მის გარდა ხელი არავის ეხლო. გვჯეროდა მისი სიტყვები და მშვენიერ თეთრ სოკოებს განზე ვუვლიდით, რომ რამენაირად მისი შხამი არ მოგვცხებოდა...

VIII

უკვე დაბინდებული იყო. მთელი მდგმურები ეზოში იყვნენ. ჩვენც გარეთ ვიყავით და ვახშამს—წყალში დამბალ პურს—შევექცეოდით.

მაღლა აივანზე უცებ რაღაც ჩოჩქოლი ასტყდა. ტერტერა ცუდად გახდა თურმე და დურგალ გასპარას და ერთ სხვა მდგმურს დაუძახეს, რომ ანდერძს მოწმეებად დასწრებოდნენ.:.

მეორე დღეს ნაშუადღევს ტერტერა გარდაიცვალა და მისი ცოდვილი სული ეშმაკებმა ჯოჯოხეთში წაწიალეს.

დედაჩემმა გადასწყვიტა, რომ ტერტერას სიკვდილს შემდეგ სახლს ისევ მე დავეპატრონებიო, მაგრამ სწორედ ამ დროს შეგვატყობინა გასპარა დურგალმა, რომ ტერტერამ თქვენი სახლი ვანქის ეკლესიას უანდერძოო იმ პირობით, რომ სიცოცხლეში ფოფოდიამ ისარგებლოსო.

ტერტერას სიკვდილს შემდეგ სამი დღე გავიდა.

ვანქიდან მოვიდა ერთი კაცი, რომელმაც გვეიბრძანა, რომ ჩვენი მშრალი ოთახიდან გადავსულიყავით ძალზე ნესტიან ნახევრად-სარდაფში. როდესაც ჩვენ ამაზე არ დავეთანხმეთ, ვანქის კაცი ძალიან გაცხარდა, მოიყვანა ორი კრუა და ჩვენი ბარგი ძალით გადიტანა ხსენებულ სარდაფში; ჩვენ კიდევ ძალით გამოგვყარა იქიდან და კარები კლიტით დაკეტა.

ისედაც ავადმყოფ დედაჩემს ნესტიანმა ბინამ ბოლო მოუღო; პირველსავე ზამთარში მძიმედ ავად გახდა და უპატრონობით, უჭმელობით და უექიმობით გარდაიცვალა.

დურგალი გასპარა გორელი სომეხი იყო. როგორც თითონ, ისე მისი ცოლი ფეფელა დიდი გულკეთილი ადამიანები იყვნენ. მე, დაობლებული ცამეტი წლის გოგო, ამ კეთილ ადამიანებმა მიშვილეს და დიდი მზრუნველობით მეპყრობოდნენ. მთელი წელიწადი დავყავი მათთან. მეორე წელს კი, თოთხმეტი წელიწადი რომ შემისრულდა, გასპარამ თავის ნაშეგირდალს ახალგაზრდა სოლომონს მიმათხოვა, რომელიც გასპარას გვერდზე ოთახში სცხოვრობდა.

„სულიერ მამის“ ტერტერას ოინები ეხლაც თვალწინ მიდგას და არ მავიწყდება.—დაამთავრა ამბის მბობა დედაჩემმა.

ვისაც უნდა, რომ ბოლომდე შეიტყოს ობლად დარჩენილ პატარა შუშანას ამბავი, მან უნდა წაიკითხოს ამავე ავტორის მოთხრობა „უბედური შუშანა“.

მუშა ნიკო ასლამაზაშვილი.

გულგვიადოგა

ალექსანდრე ნევეროვიდან.

1.

პავლე კუდრაჭაძე—დირექტორია. პავლე კუდრაჭაძე—დიდი კაცია. იყო პავლეი კუდრაჭაძე, გახდა პავლე ივანეს ძე კუდრაჭაძე. დადიოდა ფეხით,—დაქრის ეხლა ავტომობილით. კაბინეთი ექვს, მარა რა კაბინეთი! სრული, ნათელი, მაგიდა რვა უჯრებით, ტელეფონი, ზარი, ელექტრონი, მეკარე. ცხოვრებაა მაშ რაღა! ეს თუ სიზმარი არ არის,—უსათუოთ მაგრა უნდა ჩასვიდოს ხელები ასეთ ადგილს. ხუმრობა ხომ არ არის! დირექტორი!.. იყო უბრალო ზეინკალი,—გახდა ქარხნის დირექტორი...

2.

პავლე კუდრაჭაძე მიქრის ავტომობილით,—ზევით ცა, ქვემოთ დედამიწა მიქრიან. მიდიან ზეინკლები, მიდიან ხარატები, მიდიან კალატოზები. კუდრაჭაძე კი ყველას წინ უსწრებს, მიქრის. აი ცხოვრებაც ამას ქვია! დარექტორია!..

ზის კუდრაჭაძე ტყავის ბალიშიან სავარძელში. თვალები მხიარულათ ულიმიან. ერთი მხრით ინჟენერი, მეორე მხრით ინჟენერი. აი რა ხალხთან აქვს საქმე მას! სწევენ თუთუნს ინჟენერები,—პავლეც კვამლს აბოლებს, სხედან ისინი ფეხი ფეხზე გადადებული,—პავლეც ზის ფეხი ფეხზე გადადებული. თანასწორია,—დირექტორია!

3.

რას გავს ნაძალადევი მიხრონგვილი ქოხმახ ით! ზიან გაძინთული მუშები თხრილის პირას, მათი ბაღნებიც იქვე ერიამულობენ, ქალები ქოხებში ფუსფუსობენ. წინაზე კუდრაჭაძეც აქ ცხოვრობდა—აი, ამ ქოხში. ეხლა შუა ქალაქში სცხოვრობს, სამ სართულიან სახლში. არ შეიძლება ქარხნის დირექტორი ნაძალადევში სცხოვრობდეს. არც ერთი ინჟენერი არ ჩასთვლის მას ნამდვილ დირექტორათ. არც ერთი მოსამსახურე მოწიწებით არ შეხედავს.

— გამარჯობა პავლე ივანეს ძე!

— გაგიმარჯოს!

— არა მაქვს დრო, ამხანაგო საველი,— გამგეობის სხდომაზე მიეჩქარები.

— პავლე ივანესძეს ვახლავარ!

— იცოცხლე!

— როგორ ცხვრობ?

— ცუდათ, ამხანაგო გიგო,— უნდა დავანებო თავი დირექტორობას.

— რას ამბობ, რათა?

— ძნელია მუშაობა ასეთ გამგეობის წევრებთან.

როგორი პირმოთნე შეიქნა პავლე კუდრაჭაძე,—ინჟენერებთან ერთი ენით ლმპარაკობს, მუშებთან კი მეორეთი. დირექტორია. თუ ეს სიზმარი არ არის,—უსათუოდ მაგრად უნდა ჩასვიდოს ხელი ასეთ ადგილს. ინჟენერებთან ჩხუბი არ არის ხელსაყრელი. არც მუშებთან ჩხუბი ვარგა. პოლიტიკას უნდა მიმართო. ორი ენით ილაპარაკო.

4.

სარკეა ამნაირი, თუ პავლე გამოიცვალა? ეს ულვაშები თითქოს მისი არ არიან. იყო გრძელი, ჩამოკიდებული, ეხლა კი გაწკეპილი არი. თითქოს არც ლოყებია მისი. გაიბერენ, გაღაღადებენ. თვალებიც აღარ გვანან მისას. არც კისერი,— თეთრი საყელოთი. ლურჯი კასტუმი, გავაქსილი ფეხსაჯმელები, პირში პაპიროზი. რას ქვია, როგორ თუ ეს პავლე კუდრაჭაძე არ არის,—ზეინკალი პავლე კი არა—დირექტორი! მაგრამ ხომ არ შეიძლება დირექტორი მუშასავით გაძინთული, საყელო მოღიადებული დადიოდეს! არც ერთი ინჟენერი და მოსამსახურე პატივისცემით აღარ მოეპყრობა.

გარდა ამისა...

გარდა ამისა ისეთ საზოგადოებაში უხდება ყოფნა, რომ ძალაუნებურათ უნდა შეეგუოს მას. რაც უნდა იყოს სასიამოვნოა, როცა სარკეში ვერ სცნობ შენს თავს. ინჟენრებში მიღებულია ქალების ხელზე კოცნა. რა თქმა უნდა ის არ კოცნის ხელებზე, მაგრამ ისე, საზოგადოთ, რამე ზომები უნდა მიიღოს, რომ არ ჩასთვალონ უზრდელათ.

5.

კარგია, მაგრამ კუდრაჭაძე მაინც უკმაყოფილოა ცხოვრების. ცხოვრების იმდენათ არა, რამდენადაც ცოლის. უბრალო დედაკაცია,—ტანზე ჩითის კაბა აცვია, თავი ცახოცით აქვს წაკრული. ამასაც არა უშავდა რა: კაბა შეიძლება კარგი უყიდოს კაცმა, ცახოცის მაგიერ ქუდიც შეიძლება დაახურო თავზე, მარა საქმე მარტო ამაში როდია.ზრდილობა არ უვარგა, ყოფაქცევა. როგორც იყო მუშის ცოლი ისეთივე დარჩა, არ გამოიცვალა. ქმარი ეუბნება:

— შენ ახლა დირექტორის ცოლი ხარ.

ის კი:

— რა მედირექტორება, მე შენ ისედაც მიყვარხარ, ჩემო პავლუშა.

სტუმრებთან იმალება, სცხვენია. ინჟენრების ცოლები თითონ ურცხვად გეჩხირებიან თვალებში, ამას კი ხალხის ეშინია. თუ გამოვიდა თავის ცახოცით,—კუდრაჭაძეს სირცხვილის ოფლს ასხამს.

არა, ასეთი ცოლით ხალხში ვერსად გამოჩნდები. სინდის ქვეშ რო ვთქვათ,—ცოტა ხნიერიც არის. ნეტა ვინმე ახალგაზრდა, აბრეშუმის ჩულქებიანს გადაეყრებოდეს სადმე! აი, ეს იქნებოდა საქმე!

6.

გადაწყვიტა კიდეც პავლე კუდრაჭაძემ. პირდაპირ გამოუცხადა თავის ცახოციან ცოლს:

— მე და შენ არა ვართ ერთმანეთის შესაფერი.

წავიდა ჩითის კაბიანი და ცახოციანი ცოლი. მოვიდა აბრეშუმის კაბიანი და ჩულქებიანი,—ახალგაზრდა, თვალებით მოთამაშე, ტანწერწეტა. ჩაის არ სვამს, ყავას თხოულობს, თეთრ პურს არ სჯერდება,—სდობნი ბულკები ინდომა. ეს კაბა გამოვიდა მოდიდან, ასეთ ქუდს აღარ ატარებენ ახლა! დღეს თეატრში, თუ კინოში წავიდეთ? მოწყენილი ვარ...

7.

გემრიელათ ივახშმეს ერთ საღამოს პავლე კუდრაჭაძემ და მისმა ახალმა ცოლმა. ნავახშმოებს პავლე წაიყვანეს საგანგებო კომისიაში,—არა სხდომაზე, არამედ ჩასაჯდომათ...

ხდება ხოლმე ასე ხანდახან...

ს. თ—ია.

მაღაროს აფეთქება

ხრიოკი მთები.

არე-მარე პირქუშად იცქირება.

მზის მკვეთრი სხივები დაუნდობლად უცხუნებს კლდეების ზურგს და მისი ელვარება ჰაერს ამძიმებს.

ვიწრო გზა-ტკეცილები შეხვევ-შემოხვევით მიდიან ქვევით.

გზა ტკეცილზე ლიანდაგი მიყვება, რომელზედაც ხშირად მოსრიალებს პატარა რონოდები შავი ქვით დატვირთული.

მუშები დაკვალთულნი, მაგარ კუნთებიან მკლავებით და სახე შემურვილნი, ტვირთავს ზოგი რონოდას, ზოგი კიდევ თხრის მაღაროს გულში შავი ქვის ზოდებს.

წერაქვები გამალებით ტრიალებენ, ისმის -მწყობრი ქვის ტეხა და განიერ გულთა ღონიერი ქშენა.

ყველანი საქმეშია ჩაბმული.

უქმად არავინ ზის.

რონოდებს ნახშირი მიაქვთ გამალებით ქარხნისაკენ, სადაც ის უკანასკნელად იწმინდება მიწისა და მტვერისაგან.

ხალასი მადანი გააქვთ ისევ რონოდებს გასაკუთრებულ მოედანზე, სადაც იქვე მას უხდება მატარებლის რონოდები.

მწყობრი მუშაობა... ყოველი წუთი აქ ტკბილი ტანჯვის გრძნობაში იწვის. აქ მუშა ბედნიერიცაა და უბედურიც—მდიდარიცაა და ღარიბიც.

ყველას ოფლის ღვარი ურეცხავს სახეს. გაღეღილ ოფლიან მკერდზე აქ თვითეულს სქლად ელექება შავი ქვის მტვერი. მხოლოდ კბილები ისევ თეთრ სადაფივით ბრჭყვიალებენ.

ერთი კვირაა რაც მუშებმა ქარხნის პატრონს ახალი მოთხოვნილება წაუყენეს.

ქარხნის პატრონი უარზეა.

მუშების მოთხოვნილებას ის ყურადღებასაც არ აქცევს.

გუშინიდან გაფიცვის კომიტეტი მუშაობს. დღეს თორმეტ საათზე არის უკანასკნელი ვადა.

თუ მაღაროს მეპატრონე დაკმაყოფილებს მუშების მოთხოვნილებას, მაღარო ისევ სიცოცხლეს მიეცემა. ესევ იგრიალებს მატორები, მანქანები, რონოდები და უთვალავი მაგარ კუნთებიანი ხელები.

ყველაზე მოწინავე მუშა, რომელიც გაფიცვის კომიტეტის თავმჯდომარედ ითვლება ნიკო—ყოველ წუთში დატრიალებს, ხან მუშების ერთ ჯგუფს ელაპარაკები ხან მეორეს.

უკვე თორმეტმა საათმა დაჰკრა.

კანტორისაკენ მიიჩქარის დირექტორი თავჩაქინდრული, რომელსაც სიმუქნისაგან კისერზე რამდენიმე წყებათ აქვს დაკეცილი ტყავი და ნიკაპ ქვეშ ჩამოშვებული ლობები.

მუშები შემოაცვივდენ. გარშემო ყველაზე წინ ნიკო წარსდგა და რიხიანად მიმართა დირექტორს:

— რა პასუხი მოგვიტანე? მაღაროს მეპატრონე აკმაყოფილებს ჩვენ მოთხოვნილებას თუ არა?

დირექტორი დაიბნა.

შემდეგ როგორც იყო მოახერხა სიტყვის დაძვრა:

— მაღაროს მეპატრონე სასტიკ უარზეა, ამბობს რომ წარდგენილ პირობების დაკმაყოფილება მას არ შეუძლია და არც მოაწერს ხელს ასეთ პირობებზე, ვინაიდან ეს ნიშნავს მის მოგების განახევრებას.

ყველანი ერთი წუთით დაჩუმდა. ჩამოვარდა საერთო სიწყნარე. ხმის ამოღებას ვეღარავინ ბედავდა. ისევ ნიკო წარსდგა წინ და რიხიანად მიმართა მუშებს:

— ამხანაგებო! თქვენ ამ მაღაროს გვირაბში წელს და გულს იწყვეტთ 12 საათის მუშაობით, რისთვისაც ღებულობთ გროშებს, ცოლ-შვილი ყველას შიმშილით გვეხოცება. ჩვენ მოვითხოვეთ ადამიანური მოპყრობა, კუჭის გამოწყლომა, ჩვენ ამაზე უარს გვეუბნებიან და ამას იმით ასაბუთებენ, რომ ჩვენი წარდგენილი პირობები მაღაროს პატრონის მოგებას ანახევრებს. ამხანაგებო! აი, აქედან ჩვენ ყველანი წ)ვალთ თავიანთ სახლებში. არც ერთი ჩვენგანი არ დაუბრუნდეს სამუშაოს. ჩვენ ვაიძულებთ მაღაროს პატრონს მოგვაქციოს ყურადღება. მაშ ასე ამხანაგებო, ყველამ გასწიეთ თავ-თავის ბინისაკენ. გაფიცვის კომიტეტი ეცდება თქვენ, უმუშევრობის დროს ლუკმა პური მოგაწოდოს.

ატყდა ყვირილი და ჩოჩქოლი. მოხდა გაფიცვა, რომელიც მაღაროს დახურვით ემუქრებოდა. მაღაროს მეპატრონეს მუშები თან და თან დაიფანტნენ.

მიდიოდენ სახლში ჯგუფ-ჯგუფად, ზოგი ორი-სამი ერთად და იმაზე კამათობდენ, თუ რა უნდა ექნათ გაფიცვის დღეებში, ყველას ჯიბა ცარიელი ჰქონდა.

ერთი საათის შემდეგ კანტორის წინ არავინ იყო.

წარმოების დირექტორი თავზე ხელშემოდგმული დაყრდნობოდა კანტორის მოაჯირს და ჩაფიქრებული უძრავად იდგა.

სიწყნარე ჩვეულებრივი.

აღარც მანქანების და მატორების უხეში გრაგანი, არც ქარხნის მილიდან ამოდის დაგრაგნილი ბოლი. მოკვდა მაღარო.

აღარ არის საღი მაჯის ცემა.

პატარა ხნის შემდეგ ინჟენერიც მოვიდა.

ის არაჩვეულებრივი სახის გამომეტყველების კაცია. თითქოს ყოველთვის მოღვრემილი.

ახლა კი ჩვეულებრივზე მოღუშული, წარბშეკრულმა მიმართა დირექტორს:

— მე თქვენ წინადადებას გაძლევთ მაღაროს ერთი ადგილი, სადაც რონოდა ქვის კედელს ეხება ახლავე იქნას შეკეთებული, თორემ შემდეგ უბედური შემთხვევა მოხდეს მე არ დამბრალდეს.

— როგორ,— გაკვირვებით იკითხა დირექტორმა.—განა საქმე ისეა, რომ საშიშრობას წარმოადგენს?

— დიახ, რონოდა როცა იგი მიდის ეხება ქვის კედელს, შეიძლება ხეხისაგან ცეცხლი გაჩნდეს და მაღაროს ნაწილი აფეთქდეს. მე თქვენ წინდაწინ გაფთხილებ.

— მერე ეს ახლა რაღა დროსია. მუშები ხომ გაიგე გაფიცენენ, ვინ უნდა გააკეთოს. მე ხომ არ წავალ იმ ჯოჯოხეთში?!

— ეს მე არ მეხება. ჩემი საქმეა რომ ასეთ შემთხვევაში გაგაფრთხილო. ჩემი მოვალეობა შევასრულე.

ორთავე კარგა ხანს სდუმდენ. ბოლოს დირექტორმა აიღო ხელში ტელეფონის მილი და დაიწყო წკარუნი.

— ალლო! მომეცით 2—34. მზათ არის? მადლობთ. ვინ ლაპარაკობს? აჰა, ევგრაფი ივანეს-ძე? კეთილი, აი, რა ევგრაფი ივანეს-ძევ! მუშები გაიფიცენენ. ძველ პირობებში არ ისურვეს მუშაობის გაგრძელება. არაფერი გავიდა. როგორ? აბა მე რა ვუყო. მე ხომ ვერ დავიჭერ, მე ერთი ვარ ისინი ათასი და მეტი. მოვიდე? ძალიან კარგი, ამ წუთში მოვალ. ნურსად წაბრძანდებით, სახლში დამიხვდით სხვა საქმეებიც მაქვს თქვენთან ევგრაფი ივანეს-ძევ!

დირექტორი ჩამოკიდებს ტელეფონის მილს, წამოკრავს ხელს ქუდს, ტროსტს და გაემართება მაღაროს პატრონისკენ. უკან აედევნება ინჟენერიც.

პატარა ხანში დირექტორი და ინჟენერი უკვე მაღაროს პატრონის კაბინეტშია. მაღაროს პატრონი გულმოსული დადის ფართე ევროპიულად მოწყობილ ოთახში, ხან შეჩერდება და ბრაზისაგან მაგიდაზე მუშტს დარტყამს შეკრთება. დირექტორი, რომელიც მას ყოველთვის თვალში შესცქერის.

— მაშ ასე, როგორც ვხედავ გაიფიცნენ. ძველ პირობებს აღარ სჯერდებიან. მე მაგათ ვუჩვენებ ვინცა ვარ. ასეთი მახე გაუწყო, რომ ყველანი საპყრობილეში დალპენ...

საერთო სიჩუმე ჩავოვარდა ისევ. აღარავინ არაფერს ამობდა.

უცებ მოისმა საშინელი ქუხილისებური გრიალი. ყველანი დაფრთხენ... კარგა ხანს ასე ჩაფიქრებული იდგენ. სიჩუმის დარღვევა ვერავის გაებედნა.

ბოლოს ინჟენერმა დაარღვია სიჩუმე. აი, რომ გეუბნებოდი შენ, მიმართა დირექტორს— მაღაროს ერთი ნაწილი აფეთქდება მეთქი. ალბათ ეს გრიალის ხმაც იქიდან იყო.

მერე ეგ როგორ მოხდა?—იკითხა დაბნეულად მაღაროს პატრონმა.

— ისე, რომ რონოდა, როცა ქვის კედელს ეხებოდა ხან ცეცხლს აჩენდა, ეს მხოლოდ გუშინ შევნიშნე.

ამ დროს შემოვარდება თავგასისხლიანებული კანტორის მოხელე, რომელიც აცნობს მაღაროს ბოლო ნაწილის აფეთქებას.

მაღაროს მეპატრონე ტაბლების ღრეჭუნით ტრიალებს ოთახში.

შემდეგ შემოტრიალდება და კმაყოფილი მოღიმარი სახით მიმართავს ინჟენერს.—ეს კარგი რომ სულ არ აფეთქებულა. ზოგი ჭერიც მარგებელია, ამ აფეთქებას მუშებს გადავაბრალებ. ყველას ციხეში დავალპობ.

— ალლო! მომეცით პოლიციის სამმართველო! ვინ ლაპარაკობს? აჰა, სამმართველოს უფროსი ბრძანდებით? აი, რა მეგობარო, დღეს მუშები გაიფიცნენ, მაღარო ისე უპატრონოდ მიატოვეს. ახლა კი კანტორიდან შეატყობინეს რომ მაღაროს ნაწილი აფეთქებულია. ზარალი დიდია. დაიჭირეთ ჩემი მუშები ვინც კი მუშაობაზე იტყვის უარს. განსაკუთრებით კი გაფიცვის კომიტეტს მიაყენეთ ცხელება ყველაფერი იმისი ბრალია. მაშ მექნება იმედი. შემოიარეთ სადილზე. ჩემი მეუღლეც სახლში გახლავთ.

მაღაროს პატრონი ამის შემდეგ ცოტა დამშვიდდა.

მუშების უბნებში კი მოედვა პოლიცია კალიასავით. იქერდნენ და სცემდნენ მუშებს და მათ ცოლ-შვილს. დაიჭირეს გაფიცვის კომიტეტი. მაღაროს მეპატრონე ზეიმობდა თავის გამარჯვებას მუშები კი განაგრძობდნენ თავჩაღუნული მუშაობას.

ი. უ—იძე.

რევოლიუციიდან

რევოლიუცია
„თემა ძველია“.
ალბად ევროპას თუ მოუცლია,
როცა ელიან
სიკვდილს ზმორებით:
გლადიატორებს კიდევ უცდიან
გრძნობის მორევით...
ლითონის მთვარეს შორეულ გზიდან
გადაეღობა ლეგენდის ფარცხი,—
მკერდს იელვარებს მზით ნემეზიდა
და საუკუნე წავიდა მარცხნით...
გარუჯულ რკინას მუშა ატარებს
და ეკიდება ცეცხლი გუშბათებს.
მიდის წინ შრომა, ობიან ზარებს
ცრემლები სცვივა და იქვებს ბადეებს...
თვალი ვერ უძლებს ღამეს ბნედიანს,
ქარხნის ღმეილი უღიმის მუშას.
მრწამს ტყვიის წვიმა და იმედია
მსოფლიო ზურგზე ავიყვანთ გუშაგს.
გუშაგს, რომელიც ყველგან იციან:
არ უყვარს შიში და ბტერთან მარცხი,
სხვაგანაც ითნება რევოლიუცია
და საუკუნე მიიწევს მარცხნით...

შ. ჯანბერიძე.

ლუდაჭალაში.

ტერორი*)

დრამა 5 მოქმედებად

მომქმედნი პირნი:

1) ანეტა
2) სერგო
3) გიორგი
4) ნიკო
5) ტერეზა
6) აკოლოდოჩნიკი
7) ჯალათი
8) გოროდოვოი
9) შაკრო
10) ვასილი
11) გოგა
12) ვანო
13) მაქსიმე
14) მარინე

სურათი პირველი

(სცენა წარმოადგენს მესამე მოქმედებას. ფარდის ახდის დროს მაგიდასთან სხედან: **გიორგი** და **სერგო**).

გამოსვლა პირველი

გიორგი და **სერგო**.

სერგო. შენ ნახე, როგორ მოკლეს ანეტა?

გიორგი. როგორ არა ვნახე, კაცო, ჩემ თვალწინ მოკლეს. მერე კიდევ კარგი, რომ გარადავოები ჩვენ დუქანში იყვნენ. შევიდი ხელათ და შევატყობინე. ერთმა გარადოვმა მკვლელს დაუმიზნა თოფი თუ არა მიგ თვალში მოარტყა!

სერგო. გარადავოი კარგად მოქცეულა, მაგრამ იმათ ამხანაგებმა რომ გაიგონ შენ შეატყობინე, იცოდე, კარგ დღეს არ დაგვაყენებენ!..

გამოსვლა მეორე

ნიკო, ილიკო, შაკრო, ვასილი, ვანო და **გოგა.**

ნიკო. გამარჯობათ!

გიორგი და **სერგო.** (შეკრთებიან და წამოდგებიან ფეხზე) გაგიმარჯოთ! (გიორგი წასვლას დააპირებს).

ნიკო. მოიცა, სად მიდიხარ... (გიორგი შედგება) თქვენ, ერთი მე ეს მითხარით, ჩვენი ამხანაგი ვინ დააბეზღა? (ხმას არ იღებენ) იტყვით თუ არა? (ხმას არ იღებენ, ორივე ძმები დასხდებიან და თავს ჩაღუნავენ) მაშ, როგორც გეტყობათ, თქვენ დაგიბეზღებიათ... ძალიან კარგი. (ამხანაგებს) აბა, ძმებო, სიკვდილი ორივე ძმებს!!! (ესვრიან თოფებს და ორივე ძმები დაეცემიან) დაიხოცნენ! ძმებო, ეხლა ჩვენ აქვე მივიმალოთ! (გადიან).

ფარდა

მოქმედება მეოთხე

(სცენა წარმოადგენს საპოლიციო უბანს. სდგას საწერი მაგიდა. მაგიდის თავზე კედლზე ჰკიდია ნიკოლოზის სურათი. მარცხენა მხარეს რამდენიმე სკამები აწყვია. მაგიდაზე აწყვია წიგნები, საწერი ქაღალდები, საწერკალამი, ფარდის ახდის დროს **ორ გარადავოის შემოჰყავთ თრევით ალექსი სისხლში მოსვრილი**).

გამოსვლა პირველი

ალექსი და **ორი გარადოვოი.**

ვასილი. (შემოიყვანენ, ძირს დააგდებენ და თითონ სკამებზე დასხდებიან და ოფლს იწმენდენ) როგორ დავიღალეთ ამ მხეცის ცემით და ეს კი კიდევ ცოცხლია!

გამოსვლა მეორე

იგინივე და **აკალოდოჩნიკი.**

აკალოდ. მოათრიეთ?!

ვასილი. (წამოდგება) დიახ, ბ-ნო!

აკალოდ. არ მოკვდა?

ვასილი. არა ბ-ნო, ჯერ კიდევ სუნთქავს.

აკალოდ. კარგი! (მაგიდასთან ჯდება და ოქმსა სწერს) აბა, ფეხზე წამოაყენეთ.

გარადავოი. (მივლენ და ალექსის აყენებენ, ალექსი ისევ ძირს ვარდება, გარადავოები სცემენ) დადეგ!

ვასილი. ბ-ნო, ვაყენებთ და ისევ ძირს ვარდება!

აკალოდ. ნუ, კარგი. ძირს ეგდოს. ეგრეც გამოვკითხავ. (ეკითხება) ეხლა შენ ყოველ ჩემს კითხვებზე მიპასუხე, გესმის თუ არა? (ხმას არ იღებს) შენ გეუბნები, მიპასუხებ თუ არა! (პასუხს არ აძლევს) მათრახები მაგას! (გარადავოები სცემენ) კარგით, ეყოფა, ეხლა იტყვის მე მგონი. (ალექსის) შენი გვარი? (ხმას არ იღებს) მითხარ, რა არის შენი გვარი? (ხმას არ იღებს) იტყვი თუ არა? (ხმას არ იღებს. მაქსიმეს) წადი ეხლავე და თავისი დედა და დები დაიჭირე და აქ მოიყვანე!

მაქსიმე. ეხლავე, ბ-ნო (გადის)

აკალოდ. (გაიღ-გამოიღს) ეხლა ცოტა ტკბილად გამოვკითხო, იქნება სთქვას რამე? (ალექსის) წელანაც გკითხე და ეხლაც გეუბნები, ვიდრე არ გაცბრაზებულვარ, ყოველს ჩემს კითხვებზე პასუხი მიიღეთ, და შემდეგ შეიძლება სულაც გაგანთავისუფლოთ. (დაცქერდება) პასუხს მომცემ თუ არა? (ალექსი ხმას არ იღებს) ვასილი, აბა, დაჰკარი მათრახები! (სცემს) კარგი, თავი გაანებე, არ მოკვდეს, მაგის დედას და დებს გამოვკითხავ.



ხალხი, რომელიც არც სწავლობს და არცა კაფავს,— არამედ ხვის ნაშრომსა ყლაპავს.

დაგალი და მაღალი

ანუ მელიტონ გალანჩიბაძე და კოტე ფოცხვერაშვილი

მაღალი: მელიტონ! კონსერვატორიის რეორგანიზაცია უფრო ადრე დამთავრდება თუ შენი ოპერა „თამარ ცბიერი“?

დაბალი: „თამარ ცბიერში“ მგონია სულ ექვსი მომქმედი პირია; იმის დაწერას დასჭირდა ჯერჯერობით, როგორც იცი, ჩემი ბიძია, ოცდაათი წელიწადი. კონსერვატორიაში კი ათას კაცამდეა, მაშასადამე... წადი, ბოშო, სახლში და შენ თვითონ იანგარიშე!

მაღალი (გალობს თავის ნაწარმოებიდან): „მოველით აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნესასა ამინ“.

გამოსვლა მესამე

ტერეზა, მარინე, გოია და **მაქსიმე.**

მაქსიმე. მოვიყვანე, ბატონო!

აკალოდ. კარგი! (მაგიდასთან ჩამოჯდება) ახლოს მოდით! (მივა ახლოს) მე მინდა თქვენ შეგეკითხოთ და სისწორე უნდა სთქვათ. არაფერი არ დამალოთ. (ალექსი სახეს იმალავს)

ტერეზა. ძალიან კარგი, ბატონო!

აკალოდ. მითხარით, ეს თქვენი შვილია?

ტერეზა. (შეკრთება. მივა ახლოს, უყურებს, შიგრამ ვერა სცნობს შვილს) არ ვიცი, ბატონო, ჩემ შვილს არ გავს!

აკალოდ. სტყუი, ეს შენი შვილი უნდა იყოს, მე გირჩევთ ყველაფერი სწორეთ მითხრათ!

ტერეზა. რა ვქნა, ჩემ ჩვილს არ ჰგავს და ტყუილს ხომ არ ვიტყვი. (დაღონებული დგას)

აკალოდ. მაშ კარგი, რადგან შენ არ იძახი, შენი ქალი იტყვის. (მარინეს) აბა, თქვენ ახლოს მოდით. (მარინე ახლოს მივა) მე ვიცი, შენ არაფერს დაშალავ და ყველაფერს სწორეთ იტყვი. (ალექსიზე უთითებს) ეს თქვენი ძმა არის თუ არა?

მარინე (ცოტათ შეყოყმანდება, ალექსის გა-

დახედავს და უარს იტყვის) არა, ბ-ნო, ეს ჩემი ძმა არ არის.

აკალოდ. როგორ, შენც უარს ამბობ?

მარინე. რა ვქნა, ბ-ნო, ჩემი ძმა არ არის და ტყუილს ხომ არ ვიტყვი...

გოია. (ვეღარ მოითმენს. მივა, ალექსის ნახავს, იცნობს და შეჰკივლებს) რას ამბობთ ტყუილს, ეს ხომ ჩვენი ალექსია. (დაემხობა და სტირის) ალექსი ძმაო, მითხარი, რა დაგემართა, რადა ხარ ამ დღეში?! დედა!.. მაშინ!.. შეხედე, რა დღეშია ჩვენი ალექსი. თვალი ამოვაოდნილი... სისხლში მოსვრილი. ძმაო, ძმაო! (სტირის).

ტერეზა. რას ამბობ შვილო, განა ეს ჩემი შვილი ალექსი არის? (მივა დასცქერის კარგად და იცნობს. დეემხობა და სტირის) ალექსი შვილო.. შვილო... ეს არის, ჩემი შვილი, ჩემი ალექსი!..

მარინე (გაკვირვებული) რას ამბობ დედა, ხომ არ გაგიჟდი? (ისიც მივა. იცნობს) მართლა, ალექსი ყოფილა! ძმაო, ძმაო, რა ნოგვიდა? (ხმას არ იღებს, მხოლოდ მძიმედ გმინავს).

აკოლოდ. ეხლა ხომ იცანით, ხომ თქვენი ძმა არის?

გოია. (ტირილით) ჰო, ძმა, ჩვენი ალექსია!

აკალოდ. (ეკითხება) თქვენ რა გქვიათ?!

გოია. (ტირილით) მე გოია მქვია, გვარი ხავტასი!

აკალოდ. მაშ კარგი. მე ამ საქმეს გადავცემ სასამართლოს და ისინი გაარჩევენ.. ეხლა კი საავადმყოფოში წაიყვანეთ (უბრძანებსა გარადავოებს. გარადავოები მივლენ, ასწევენ და მიჰყავთ. ტირილით მისდევენ დედა დადები).

მოქმედება მეხუთე

(სცენა წარმოადგენს მოედანს, სადაც აღმართულია სახრჩობელა. სახრჩობელის ქვეშ სასაფლაოა მოთხრილი. სასაფლაოს გარშემო მიწა ჰყრია, იქვე ახლოს ნიჩბები აწყვია. დამნაშავის გვამს, როცა ჩაუშვებენ, მიწას მიაყრის ჯალათი. საფლავზე გადებულია პატარა ფიცარი. ზედა სდგას პატარა სკამი რაზედაც ალექსი უნდა დადგეს სახრჩობელაზე ასასვლელად).

გამოსვლა პირველი

იგინივე და ჯალათი

ჯალათი. (აცვია წითელი ტანისამოსი ფარდის ახდის დროს თოკებს აბზადებს) დასწყევლოს ღმერთმა ჩემი თანამდებობა, რამდენი უდანაშაულო კაცი ამ თოკზე ჩამომიკიდნია! (ბოთლით არაყს აიღებს ხელში) აი, ეს არაყია, რომელიც გაბედაობას მაძლევს ამისთანა საზიზღარ საქმეში. (გადაჰკრავს არაყს. ფეხის ხმა მოსმის) აი, ვგონებ, მოჰყავთ კიდეც. (დაჩაბრუნებს მუზიკობას).

გამოსვლა მეორე

იგინივე და ზედამხედველი.

ზედამხედველი. ყველაფერი მზადა გაქვს? საცაა მოიყვანენ დაბნაშავეს.

ჯალათი. მზად გახლავთ.

ზედამხედველი. (გაიხედავს) მგონია, ხალხიც მოდის სანახავად!

ჯალათი. განა მისცეს ნება ხალხს ნახვისა?!

ზედამხედველი. მშობლებმა სთხოვეს, რომ ნახვის ნება მიეცთ დახრჩობის დროს!..

გამოსვლა მესამე

ტერეზა, მარინე და გოია.

ტერეზა. (უსინათლო) სად არის ჩემი ალექსი?! მაჩვენეთ, შვილებო, უკანასკნელად დამანახვეთ. მიმიყვათ იმასთან, დამატკბეთ იმისი ცქერით. მისმა ტანჯვამ და ტირილმა თვალის სინათლე დამიკარგეს, მაგრამ სულით მაინც ვიცნობ. ჩემ შვილი, ჩემი ალექსი!.. (მიჰყავთ შუა სცენაზე).

მარინე. აი, აქ არის დედა, უკვე მივედით.

ტერეზა. აქ არის?! მიმიყვათ ახლოს (ტირილით) ალექსი შვილო! შემიბრალე შენი უსინათლო დედა!

მარინე. დედა, ალექსი ჯერ არ მოუყვანიათ. ეხლა უნდა მოიყვანონ, (შეეკითხება ჯალათს) დამნაშავეს მალე მოიყვანენ?

ჯალათი. შეიძლება მალე მოიყვანონ, მხოლოდ თქვენი აქ დიდხანს დარჩენა არ იქნება!

მარინე. უფროსმა მოგვცა ნახვის უფლება.

ჯალათი. მოგცათ! დამნაშავე რა არის თქვენი?

გოია. ეს დედაა, მე ძმა ვარ მისი. (ტირის)

ჯალათი. თქვენი ძმა?! მერე არ იცით რისთვის სჯიან ასე?

გოია. არ ვიცი ბ-ნო. მგონი კაცის კვლას აბრალებენ.

ჯალათი. კაცის კვლას? (გარეიდან მოისმის ბოროკილების ხმა) ვგონებ მოჰყავთ ჩამოეცალეთ. გადადით იქით. (უჩვენებს მარჯვნივ).

ტერეზა. მოჰყავთ ჩემი ალექსი? (ტირილით) უბედურო... ჩაქოლვილო! დედა რას მოესწარი?!

გამოსვლა მეოთხე.

ალექსი და სამი ჯარ. კაცი შეიარაღებულნი.

ალექსი. (შემოჰყავთ ხელფეხში ბორკილ გაყოლილი).

ზედამხედველი. (ალექსის) შენ უფლება გაქვს ორ წუთში გამოემშვიდობო შენს მშობლებს!

ალექსი (თავს ვეღარ შეიკავებს თვალები ცრემლებით აივსება და მივარდება დედას) დედა, დედა, ჩემო საყვარელო დედა!.. (ეთომანეთს გადაეხვევიან და სტირიან).

ტერეზა. შვილო ალექსი შენ გენაცვალე, რათა ძტოვებ მარტო. ნუ თუ ამ დღისთვის გაგზარდე, რომ გამინწარო სიცოცხლე!

ალექსი. უკანასკნელათ გემშვიდობები. უკანასკნელად გაიგონებ ალექსის ხმას... დედა, ჩემმა ტანჯვებმა მოგისპეს თვალის სინათლე. ჩემმა წვალებამ, დაგიხუმა თვალები... რომ არა ნახო შენი შვილის საშინელი წამება! დედავ... (გადაეხვევიან ორივენი და დებიც სტირიან) თქვენც ჩემო ძვირფასო დებო, გტოვებთ უნუგეშოთ, უმოწყალოთ, ქვეყნის ანაბარათ, გზორდებით სამუდამოთ. (აღელვებული) დეე.. ეხლა მაინც დასტკბენ თქვენი ტანჯვით და ჩემის სისხლით!..

ტერეზა. შვილო მეც, მეც წამიყვა თან, შენთან ერთად, რომ მარტო არ დარჩე ჩემო ძვირფასო შვილო..

ზედამხედველი. უკვე შესრულდა დრო, აბა გამოემშვიდობე!

ალექსი. (ვადაეხვევა დედას და დას) მშვიდობით ძვირფასო დედავ!.. მშვიდობით ჩემო დებო!..

მარინე | ორივენი ერთად შეჰკივლებენ) ძმაო
გოია | ალექსი, ძმაო! (ტირიან მწარეთ).

ალექსი. თქვენი ცრემლები, თქვენი გოდება... ჩემი უკანასკნელი წუთები, უკვე მოახლოვებულია. ჩემი ვარსკვლავი მალე ჩაქრება. (სასოწარკვეთილი ემშვიდობება) მშვიდობით!

ზედამხედველი. ნუღარ აგვიანებთ, დროა მარტო დასტოვოთ. (ტერეზა, გოია და მარინე შეჰკივლებენ და ტიოლით გავლენ).

ალექსი. (მიმავალ) წადით და რამოდენიმე წუთის შეიდეგ მოდით, ნახავთ ჩემს საფლავს და იტირებთ, მაშინ ალარ დაგიშლიან ჩემს ნახვას (ნელის ნაბიჯით მივა სახრჩობელასთან, ავა სკამზე, ჯალათი მივა, ხელფეიდან ბორკილებს მოხსნის და თოკით ხელს უკან შაუკრავს).

გამოსვლა მეხუთე.

იგინივე და მღვდელი.

მღვდელი. მივა ახლოს ალექსისთან) აბა, შვილო აღსარება მითხარი. ზიარებაც მიიღე, რომ საიქიოს ღირსეული ადგილი დაიმკვიდრო!

ალექსი. (აღელვებული) წყეულიმც იყავით თქვეხც და თქვენი აღსარებაც. შე ძაღლურო, თვალთმაქცო! აღსარება მე კი არა თქვენს ჯალათებს ათქმევინე! ისიც მალე ჩამოეკიდებიან ამ ..ოკზე, ოოგორც მე. დასტკბით, დასტკბით ჩემის სისხლით. რაღას უდგებართ თქვენ ჯალათნო! თქვენ სულმდაბალნო. მთავრობის ნაძირალნო, აასრულეთ თქ ენი საზიზღარი მოვალეობა და მომისპეთ სიცოცხლე, რაღას ელით?!

ზედამხედველი. (ჯალათს) მიდი შეასრულე მოვალეობა. (ჯალათი მივა, თოკს ყელში ჩაუგდებს, ფეხებიდან ბორკილებს მოხსნის, სკამს გამოაცლის, ფეხებიდან დასწევს და ფარდა ორი წუთით დაეშვება).

(ფარდა).

სურათი მეოთხე.

(იგივე სცენა. ალექსი სახრჩობელადან ჩამოხსნილია, საფლავში უშვებენ და თან ფარდა იხდება).

ზედამხედველი. (ჯარისკაცებს) თქვენ, ბორკილები აიღეთ და წადით! (მეფედელი და ჯარის კაცები გადის. ჯალათი მიწას აყრის) მე წავალ და შენ შენი საქმე მალე გაათავე! (გადის).

ჯალათი. (ოფლს იწმენდს და ცოტას შეესვენებს) უჰ, რა დავიღალე. ღმერთმა დასწყეველა ჩემი სამსახური. კაცის დახრჩობა არ მეყოფა, რომ კიდეც მამარხინებენ! გარეიდან წვიელ-ეკვილით შემორბიან ტერეზა და გოია).

გარეიდან. ძმაო... შვილო... ალექსი!..

ჯალათი. (ადგება და მიწის მიყრას დაიჩქარებს) მგონი გაიგეს, რომ უკვე დავახრჩვე და მოდიან სატირლათ!

გამოსვლა პირველი.

იგინივე, ტერეზა. მარინე და გოია.

ტერეზა. (ტირილით და კივილით) მიმიყვათ, მაჩვენეთ ჩემი ალექსის საფლავი. (მიიყვანენ ტერეზას საფლავთან, მაია და გოია დაემხობიან მიწაზე და სტირიან) შვილო შვილო, შვილო.

გოია. ძმაო... ალექსი!..

ფარდა

მუშა გ. მჭედლიშვილი.

(დასასრული)

ფეიერი

ტფილისი ზაფხულში

ქალაქს დაჰყურებს მზე მკვეთრ სხივებით
ალ მოდებული დღეა მკათათვის,
ქუჩებს ალმურის ქსელავს მძიეები
და ტრამვაეები ბობღავს ვით დათვი.

აქ მოქალაქე ფეხაკრეფ დადის
მოდუნებული სახით და ტანით,
და მის მკრთალ სახეს ოფლი გადასდის
ვით სისხლი სხეულს გაუატრულს დანით.

ქარი და მტვერი და ისევ ქარი
მისდევს ორთავ მხრით ქუჩის ნაპირებს,
და მთაწმინდიდან მომსკდარი ღვარი
მთელი ქალაქი წარეცვნას აპირებს.

დგება საღამო და ელალ თვალება
გრილი ნიავი ცელქი რხევით ძოვილის ქუჩებს,
ყველას, მზისაგან დაბალულ გულს კურნავს და ფრჩენს,
ელექტრო ჭაღიც აფრქვევს თავის უხვ ელვარებას.

სიცოცხლე მაინც სჩქეფს და გადადუღს,
მეტ სიხარულით თვრება გულიო,
შორმის უბნები ჩიჩაღდნობენ არავინ არ სწუხს
და ბადრი მთვარე გადმოჰყურებს ფინიკულიორს.

ვ. უკუნდგარელი.

წითელ-არმიელის წერილი დედასთან

მეცადინეობის შემდეგ
რა დავისვენე დედაო,—
შენზედ ფიქრებმა წამიღეს,
ტკბილებმა, ზედი-ზედაო.

დავჯექ, წერილი დავწერე—
შენ გულის გასახარადო,—
რადგანაც, სიყვარულითა
დღე-ღამ გიგონებ მარადო.

აქ რომ წამოველ, ხომ გახსოვს
მე არ ვიცოდი წერაო?—
ეხლა კი ჩემმა კითხვამა
ყველანი შეაჯერაო!..

აქ გვასწავლიან ყველაფერს—
ჩვენ გვაქვს წითელი სკოლაო
გაგეხარდება, რო მნახო,
ჩემწაირ შვილის ყოლაო.

ჩვენი ყაზარმის პირიმე,
ეს ხომ არა ჰგავს ძველსაო?!
შენ გენაცვალე, დედილო,—
გადაგეხვიე ყელსაო.

დილით ავდგებით, სამხედრო
ვარჯიშობაში გვწვრთნიანო;—
რომლითაც, მტერთა ზარმცემად,
წითელ ლაშქარსა ჰქმნიანო!..

რათა დავიცვათ გლეხები
და მუშა,—ჩვენი ძმებიო;
ვი მას, ვისაც ბრძოლის ველს
პირდაპირ შევებმებიო!..

საღამოს ვსწავლობთ სკოლაში,
და მივალთ თეატრებშიო;
მოგიკვდეს შვილი, გოგლაი
თუ ცეცხლს არ ანთებს მტრებშიო.

ჩემს ძმას უთხარი, ვანოსა,
აქეთ ეჭიროს თვალიო,
მოვიდეს სამსახურში, და
გადაიხადოს ვალიო.

იყოს გუშაგი მშრომელთა,
ისე ვით მე ვარ ეხლაო,—
წითელი დროშით, ბრძოლაში,
უყვარდეს მტრებთან შეხლაო.

გადამიკოცნე მამა და
ჩემი საცოლე ნუცაო;
თუ ვუღალატო, მოუკვდე,
ცოცხალ ვყოფილვარ ნურცაო!

სხვა რა მოგწერო?—ამ წერილს
კმარა რაც დავაბარეო;
სალამი ჩემო სოფელო—
სიყრმის ჩვეულო მხარეო!..

ხ. ე—ლი

აგარაკ გახმაროს.

პურმუხტოვან შენს მთის კალთებს,
ამაყ გორებს ტურფა მდელოს.
ნაძვ-ფიჭვნარით გარემოცულს
სილამაზის სამფლობელოს...

სალამს ვუძღვნი, მზიურ სალამს,
ძვირფას მხარეს საჯამრთელოს;
ტანჯულთა და დავრდომილთა,
თავშესაფარ—სამლოცველოს!..

ვისაც თვალით არ უნახავს,
მას არ-ძალუძს დაიჯეროს;
რომ ეს მხარე სამოთხეა
პაწაწინა საქართველოს!..

თვალ უწვდენელ მაღალ მწვერვალს,
ცასთანა აქვს საუბარი,
რომ სამყაროს არ მოაკლოს,
უკვდავების წმინდა ცვარი...

ტკბილ სიმღერით მორაკრაკებს,
ბახვის წყალი გულ-ანკარა;
ფასად დიდი ცრემლი მთისა,
ძაგრამ მცირე, ტან პატარა!.

რა სინაზე, რა მშვენება,
რა არის რომ არ ამშვენებს;
განა ვინმე ხელოვნურად,
ასეთ რამეს გააშენებს?!

ეს ბუნებით შემკულია,
თვით ბუნების სამფლობელო;
ეს სიცოცხლის ემბაზია,
ტურფა მხარე საჯანმრთელო!...

ხიო ხიდიხთაველი.



რომელ სადგურში ხდება ასეთი ამბავი?
სადგურის სალაროში ბილეთი ნ ცალზე მეტი არ იყიდება.
გვერდით მოლარე კი...

უცაბედი თავდასხმა

სურათი ერთ მოქმედებად.

მოქმედი პირნი:

1. გაბო—ქარხნის მუშა.
2. დავით—ამისი ამხანაგი.
3. ციცინო—გაბოს მეუღლე.
4. შაქრო—გაბოს ვიეთ'შვილი.
5. ყაზახების ოფიცერი.
6. ყაზახები.
7. რაზმელი.
8. პარმენ—ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

1 სურათი.

გაბოს საცხოვრებელი ბინა.

გ ა ბ ო.

უსამართლობა დღით-დღე იზრდება
და მშრომელ ხალხზე მოდის მრისხანედ,
ნუ თუ იმისთვის უნდა გვდევნიდენ—
ხალხი ჩვენ მხარეს გადმოვიყვანეთ?
ავ ტკივილებში მიდის სიცოცხლე,
ორგვლივ სიმშილი წყევა, წამება,
გალაღებულთა ხარხარი გვგესლავს,
სივდება წულული და იშხამება.
მაგრამ მოვა დრო, როგორც გრიგალი
ამოვარდება მეტ გამძაფრებით,
და უცებ დასწყვეტს შავ ქვეყნის ძარღვებს,
ვერ შეაჩერებს ვიწრო ძაფები.
გამაგრდი დავით! ვიცი შენც ჩემებრ
გდევნის, გაწამებს ხალხის ჯალათი,
დღე და ღამ ვშრომობთ, ჯან-ღონეს ვიწყვეტთ
ზურგზე ოფლისგან დადნა ხალათი,
მაგრამ იცოდე სულ ახლო არი
ჩვენი მზე, ჩვენი ხსნა და იმედი,
გამოიქროლებს მრისხანე ქარი,
აღთქმულ ქვეყნისკენ წაგიყვანს ბედი.
ჩვენი ხვედრი კი არის მხნე ბრძოლა
და ცეცხლის მფრქვევი ბარიკადები,
როცა გარემ[illegible]ს [illegible]ყვიის სუნი სწვავს
და ნაღარას [illegible]ცემს გოლიათები.
მწამს დაიმტვრევა ტახტი ყვლეფისა
და დაიმტვრევა ეს ბორკილებიც,
მუშის ცხოვრება წავა ახალ გზით,
ნახავენ შვებას შრომის შვილები.

დ ა ვ ი თ.

მე მომავალი ახლაც მახარებს
და ვცოცხლობ კიდეც მისი ნუგეშით,
თორემ ეს რას ჰგავს, ჩვენი ცხოვრება
უფრო ტანჯვაა სუსხიან თქეშით,
ველი მე იმ დღეს, დღეს ნეტარების,
როს მრისხანების დარეკავს ზარი,
და ჩვენ მჩაგვრელებს თავს დაატყდება
ხალხის მრისხანე ხმა ბობოქარი!

ც ი ც ი ნ ო.

ფრთხილად იყავით, ჩვენ მტრებს არ სძინავთ
ყოველ ნაბიჯზე გვითვალთვალებენ,
მთელი ქვეყანა სულ მთლად აიკლეს
მაინც ვერ გაძლა ეს მტარვალები.
გუშინ ჩვენ ბინას წააყურადეს,
ეგონათ სახლში იქნება გაბო,
უცებ მოგვცვინდენ მშიერ მგლებივით,
ბათ უხეშ ქცევამ გული გააპო!

გ ა ბ ო.

ჩენ ნურას სწუხარ, ვერას დაგვაკლებს
მტარვალის ძალა, მტარვალის ხერხი,
ჯერ დაგვაცადონ· ნახავენ ვინც ვართ,
ბათი თარეში ვით შევაფერხოთ!..
თორემ ხომ იცით რა დღე მოელის
ტანჯულ ხალხს, სოფლებს, სადგურებს, **დაბას,**
განუძრახავენ სულ მთლად გადაგვწვან,
ასტეხონ ერთი დავი-დარაბა.

პ ა რ მ ე ნ ი

მე ვფიქრობ დღესვე გავაგებინოთ
წითელ რაზმს მტრების ეს ავი გეგმა!

გ ა ბ ო.

ბაგრამ ჩვენ ძალა არ გვაქვს საკმაო.
მტერი მძლავრია, ვერას გავხდებით.

ციცინო.

რასაც გავხდებით ის გავაკეთოდ.
თორემ მტარვალი მოდის ცეცხლით,
მოდის მახვილით
და სასიკვდილო განაჩენის გადაძახილით.
სულ მთლად გადასწვავს სოფელ-ქალაქებს,
მშრომელი ხალხის ოჯახებსაც გააჩანაგებს.

პარმენ.

მე ახლა მტკიცედ ვადგივარ იმ აზრს:
სჯობს შეუტიოთ უხეშ მტარვალებს,
ჩვენი ძალები საკმაო არის,
დღესვე დავანთეთ მძლავრ ბრძოლის ალებს.
თორემ ხომ ხედავთ სხვა გზა არ არის,
მტერი მოიწევს ავ მრისხანებით,
დრო თუ გაუშვით, გვიან იქნება,
სჯობს დღესვე გავიდეთ ჩემი ბრძანება.
ვგონებ ბრძოლაში ჩვენ გავიმარჯვებთ,
დღეს ესეც არის შესაძლებელი,
მეფის დამჭაშნი ვერას დაგვაკლებს,
ვერც ღამის მცველი და ბელზებელი,
ჩვენ ხელში არის ცოცხალი ძალა,
და ჩვენ მხარეზე სრული სიმართლე,
ვინც ამ ბრძოლიდან განზე გადგება
ის ხალხის თვალში თავს ვერ იმართლებს.
ხვალვე დილიდან დაჰკრავს ნაღარა
და ბრძოლის ველზე გაჩოკლენ ყველა,
ან გამარჯვება და ან სიკვდილი
ჩვენ მივცეთ უნდა მშრომელ ხალხს შველა.
დროს ნუღარ ვკარგავთ, საქმეს შეუდგეთ,
შენ დავით წადი წითელ რაზმისკენ,
შეატყობინე რომ მოემზადონ!

დავით.

მე შევასრულებ ამ დავალებას.

პარმენ.

მაგრამ ერთი რამ კიდევ მაფიქრებს,
არ ვიცი რა დროს დავესხათ მტარვალს,
რომ სულ დაიბნან, დაჰკარგონ ძალა?!

გაბო.

ცხადია დილით,
როცა კიდევ მათ ყველას ძინავსთ.

პარმენ.

მაშ ასეც იყოს. ჭკუაში მიზის.
წადი შენ დავით
რაზმის უფროსს დღეს გადაეცი
რომ დილისათვის მზათ იყოს იგი

დავით.

აი, მივდივარ. (გადის)

გაბო.

მე პარმენ ვფიქრობ,
ჩვენ ამ ბრძოლას ალმათ წავაგებთ,
მაშინ იკითხე თუ რა შავი
დღეს კარს მოგვადგეს.
ბოროტმორეული მტარვალი სულ გაგვანადგურებს,
მშრომელ ხალხს, სოფლებს,
დაბას, სადგურებს,
იქნება რაღაც ავგონია აუწერელი.

პარმენ.

შენ როგორ ფიქრობ თუ არ ვიბრძოლებთ,
მაშინ კი მტერი მოგვეპყრობა თავაზიანად?

გაბო.

ცხადია არა.

პარმენ.

მეც ამას ვამბობ.

ციცინო.

ჰე, რაც მოგვივა დე, მოგვივიდეს,
ყოველ დღე სიკვდილს
ათასჯერ სჯობს ერთხელ სიკვდილი.

პარმენ.

შენ მართალი ხარ.

გაბო.

ნეტავ შაქრო აქამამდე სად დაყიალებს?

ციცინო.

საქმე ექნება.

გაბო.

აკი მან ასე დაიბარა
ადრე მოვალო!

ციცინო.

ვინ იცის იქნებ რამე შეემთხვა?

პარმენ.

ცუდი დრო არის,
ყაზახებმა თუ დაიჭირეს?

გაბო.

აბა რა ვიცი, რაღაც კი არის
(შემორბის რაზმელი).

რაზმელი

თქვენი შაქრუა
დღეს ყაზახებს დაუჭერიათ.

ციცინო.

ვაი, მე, შვილო!

გაბო.

შენ თვითონ ნახე?

რაზმელი.

ჩემი თვალებით.
(ამ დროს შემოცვივიან ყაზახები)

ყაზახი ოფიცერი.

ხელები ზევით! (ყველანი ხელებს ზევით სწევს).

პარმენ.

ოხ, რა ცუდ დროზე დაგვესხენ თავზე?!

გაბო.

ჩვენი გეგმები ფუჭად ჩაივლის.

ციცინო.

ნეტავ ვინ გაგვცა.

პარმენ.

ასეთი არის ბედის დაცინვა.
მაგრამ ახალია ბედის ვარსკლავი
და მზე მომავლის პირმოციმციმე,
აღსდგება მუშა და ძლიერ მკლავით
მოიხსნის ტანჯვა-წამებას მძიმეს.

ფარდა.

ნ. ალავერდელი.

მეცნიერება და ტექნიკა

სიკვდილის სხივები

ცნობილმა ინგლისელმა გამომგონებელმა გრინდელ მატიუსმა, რომელმაც ომის დროს აუარებელი პრემიები მიიღო თავისი გამოგონებებისათვის, გააკეთა ახალი აღმოჩენა, რომელიც უხილავი ელექტრონული ძალების საშვალებით აჩერებს შორ მანძილზე ყოველგვარ მანქანებს, აეროპლანები ამ სხივების გავლენით ჰაერიდან დაბლა ეცემიან.

უკვე პირველი ცდების დროს მატიუსმა შეამჩნია, რომ ამ სხივებით შეიძლება ყოველგვარი ასაფეთქებელი მასალის აფეთქება.

საჯარო ცდების დროს აღმოჩნდა, რომ ეს სხივები წარმოადგენენ საშინელ ასაფეთქებელ იარაღს.

აპარატი წარმოადგენს პროტექტორს, რომელსაც სამი „თვალი“ აქვს. სხივების გაგზავნა შეიძლება ყოველგვარი მიმართულებით. ღამით გრინდელ მატიუსის აპარატი პროტექტორის მოვალეობასაც შეასრულებს.

თითოეული აეროპლანი, რომელიც ამ სხივების მოქმედების სფეროში ხვდება, თითქოს გრიგალში მოხვდა, მგზავრები იხოცებიან, აეროპლანს კი ეცემა ლუბდება.

პირველი ცდების დროს მატიუსმა 19 მეტრის მანძილზე ამ სხივებით მოკლა თაგვი, აფეთქა თოფის წამალი, გააჩერა აეროპლანის მამოძრავებელი.

იყო შემთხვევა, როცა ერთი მისი თანაშემწე მოხვდა ამ სხივების მოქმედების სფეროში და თუმცა აპარატი მოქმედებდა $^1/_{500}$ სიძლიერით, ვიდრე ნორმალურათ, თანაშემწე უგრძნობლად დაეცა და 24 საათის შემდეგ მოვიდა მხოლოდ გონს. აპარატის საშვალებით შეიძლება კაცის როგორც მოკვლა ისე მის დროებით გამოყვანა მებრძოლთა რიგებიდან.

თუ რამდენათ სერიოზულ მნიშვნელობას აძლევენ ამ გამოგონებას სჩანს იმ ფაქტიდან, რომ საფრანგეთში სპეციალური სინდიკატი მოეწყო ამ გამოგონების შესაძენათ. როცა ინგლისის მთავრობამ გაიგო, რომ მატიუსი საფრანგეთში მიემგზავრება 10.000 მანეთი გადასცა მას და წინადადება მისცა მოეხდინა რამოდენიმე საჯარო ცდა და ამ ცდების შემდეგ ორი კვირის ვადა მისცა საჰაერო ფლოტის სამინისტროს გამოგონების შეძენის საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად. მაგრამ გამომგონებელმა უარყო ეს წინადადება, რადგან ფრანგებმა მას უფრო ხელსაყრელი პირობები აღუთქვეს.

მაშინ ინგლისის მთავრობამ ხელი აიღო გამოგონების შეძენაზე, რადგან შეფფილდის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა პროვატ-დოცენტმა აცნობა მას რომ გამოიგონა უფრო მძლავრათ მომქმედი სხივები.

ეს გამოგონებები საშვალებას იძლევიან ახსნილი იქნენ ზოგიერთი მოვლენები, რომლებიც გაოცებას იწვევდენ ამდენ ხანს.

საფრანგეთში მაგალითად დიდი გაკვირვება და შიში გამოიწვია შემდეგმა ფაქტმა: საჰაერო ხაზზე საფრანგეთ-რუმინეთი აეროპლანებს 8 ჯერ გაუჩერა მანქანა და აეროპლანები დაიღუპენ. ყველა ეს შემთხვევები მოხდა ერთსა და იმავე ადგილზე ბავარიის ტერიტორიაზე.

ამის შემდეგ გამოქვეყნდა ცნობა, რომ გერმანიაში გამოიგონეს მანქანა, რომელიც რადიო ტალღების საშვალებით აიძულებს აეროპლანებს დაეშვას დედამიწაზე ავტომობილებს კი აჩერებს შორეულ მანძილზე.

აი როგორ აგვიწერს ერთ ასეთ ცდას ერთი მისი მონაწილე:

„ჩვენ საღამოთი ბერლინიდან გავემგზავრეთ ჰამბურგისკენ და გამგზავრების წინ შემდეგი გაფრთხილება მივიღეთ: „გაემგზავრეთ ჰამბურგისაკენ დანიშნულ დროზე. როცა საჭირო იქნება ეფსკურსიის ხელმძღვანელი აგიხსნით ყველაფერს.“ დანიშნულ დროზე გავედით ბერლინიდან. წინ მიგვიძღოდა დიდი სწრაფმავალი ავტომობილი. უკვე მოწინავე ავტომობილიდან შემდეგი ცნობა მივიღეთ. „ნახევარი საათის შემდეგ ჩვენ რაღაც არაჩვეულებრივი შეგვემთხვევა, ნუ აღელდებით, რაც არ უნდა მოხდეს“ ამ დროს ჩვენ ასი მილის მანძილზე ვიმყოფებოდით ბერლინიდან. გავიდა 20 წუთი. მოულოდნელად ყველა ჩვენი ავტომობილები გაჩერდენ და მიუხედავათ შოფერების ცდისა, ადგილიდან ვერ დაიძრენ.

ამ დროს ჩვენ გვითხრეს: „ეს ნაუგნია (დიდი რადიო-სადგურია გერმანიაში). მან შეგაჩერათ თქვენ—თავისი რადიო-ტალღების საშვალებით გააჩერა თქვენი მანქანების მოქმედება“. ამ დროს ჩვენ ნაუგნიდან 20 მილის მანძილზე ვიმყოფებოდით.

X.

○ ბიბლიოგრაფია ○

სილ. თოდრიას თარგმანები.

გამოვიდა და იყიდება წიგნი რომელშიაც მოთავსებულია ორი პიესა; დიმიტრი დოლეგის: ბურჟუები ჯოჯოხეთში ანუ ჯოჯოხეთის ტრესტი“ ორ მოქმედებად და არნიპ იუჟინის: პასუხის მგებელი მუშაკის ცოლი—ერთ მოქმედებიანი პიესა.

ორთავე პიესა სთარგმნა, უფრო სწორად ჩომ ვსთქვათ გადმოაკეთა სილ. თოდრიამ.

საერთოდ უნდა ითქვას რომ ს. თოდრიას ძლიერ ეხერხება ასეთი სოხუნჯო პიესები იქნება ეს თუ მოთხრობების გადმოკეთება.

ორთავე პიესა ქართულ ყაიდაზე არის გადმოკეთებული და ყველა ტიპები ქართულია, თუმცა პიესა რუსულად არის დაწერილი და ცხადია ტიპებიც რუსი იქნებოდა.

ასეთი მიდგომით უნდა მიუდგეს საერთოდ ყველა მთარგმნელი სათარგმნ მასალას.

კარგად გადმოკეთებული იყო მის მიერ აგრეთვე პატარა პოემა დემიან მედნიდან: „როგორ შევიდა მონაზონი სამოთხეში“.

ერთი სიტყვით ს. თოდრია შეუდარებელია ასეთ თარგმანებში. კარგი იქნება თუ ის ასეთ მასალებს კიდეე გამონახავს და გადათარგმნის, აგრეთვე ორგინალურ ნაწერებსაც მოუხშირებდეს, რადგან მას აქვს საღი იუმორისტული ნიჭი.

პიესა: „ბურჟუები ჯოჯოხეთში“ კარგია, ის შეიძლება პროვინციის კლუბებში დაიდგას, განსაკუთრებით მუშათა კლუბებში. აქ მაყურებლის თვალწინ გადაიშლება თუ როგორი მოხერხებით გარდაცვლილი ბურჟუები ჯოჯოხეთში გაბატონდებიან ეკონომიურ დარგის ხელში ჩაგდებით.

არა ნაკლებ შინაარსისაა „პასუხის მგებელ მუშაკის ცოლი“. აქაც მოხდენილი სატირა და სინამდვილის იშვიათი დასურათება.

ორთავე პიესა კარგად გადმოკეთებულია, ქართველ მკითხველისათვის და განსაკუთრებით მკითხველ მშრომელ მასებისათვის ეს წიგნაკი კარგი საჩუქარია. აგრეთვე კარგი იქნება ეს პიესები გავრცელდებოდეს მუშების ფართო მასებში.

წიგნი ლამაზათ არის გამოცემული, კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი და ღირს 20 კაპეიკი რაც ძალიან იაფია დღევანდელ ფასობაზე.

ი. ვ.

—

„წამების ჯვარი“ ს. ხიდისთაველისა.

გამოვიდა მუშა პოეტის სიო ხიდისთაველის მოთხრობა „წამების ჯვარი“.

წიგნს თან ახლავს ავტორის სურათი, შედგენილია ლამაზათ და ღირს 30 კაპეიკი.

საერთოდ ს. ხიდისთაველის ნაწერები ატარებს ჭეშმარიტ მუშა შემოქმედის იერს. აქაც პოეტი, ამ წიგნში გულწრფელია და სინამდვილეს არ შორდება. მისი თემაა ხალხი, ბრძოლა უკეთესი მერმისისათვის, დაჩაგრულის გამხნევება და სულით ამაღლება.

პოეტი რეალისტია, ის ამ ფარგლებს არ სცილდება. არც არის საჭირო, მუშა პოეტი რეალისტურ სკოლის გარეშე დადგეს.

„წამების ჯვარი“ ნიჭიერად დაწერილი მოთხრობაა. ავტოს აქვს უსათუოდ ნიჭი, მაგრამ ცხადია ნიჭს მეტი გაშლა უნდა. მეტი სწავლა, მეტი კულტურა—აუცილებელია პოეტის წინსვლისთვის. სიო ხიდისთაველი თუ ამის მნიშვნელობას შეიგნებს ის მომავალში კარგი მწერალი გახდება.

საერთოდ კი „წამების ჯვარი“ პოეტის პირველი ნამუშევარია, შეიძლება რამოდენიმედ მკრთალი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში კარგი საკითხავია. წიგნში არის აგრეთვე კორექტურული შეცდომები, რაც კითხვის დროს ცუდათ გეცემათ თვალში.

ამ წიგნში გადაშლილია გურიის ხალხის ყოფა-ცხოვრება, მისი ჩაგვრა, მისი იმედები, ადმინისტრაციის თავგასულობა, სამართალის უსამართლობა და სხვა მრავალი.

პოეტს ეტყობა, რომ ის კარგად იცნობს ხალხს, მის სულისკვეთებას; წიგნში არის ძლიერი ადგილებიც, რაც უმთავრესად ამართლებს წიგნის გამოშვებას.

კარგათ არის აგრეთვე დასურათხატებული ის ურთიერთობა გლეხობაში, რომელიც არსებობდა ამ რამოდენიმე წლის წინად. ერმანეთისადმი შური, გაუტანლობა, დაბეზღება და სხვა.

ჩვენ ვუსურვებთ მუშა პოეტს სიო ხიდისთაველს განაგრძოს თავისი მუშაობა მწერლობის სარბიელზე, მას აქვს ნიჭი, მაგრამ საჭიროა პოეტმა შეიძინოს მეტი ცოდნა. მარტო ნიჭზე დამყარება დღეს მაინც, ყოვლად მიუღებელია.

ი. ვ.

—

პ ო ე ზ ი ა

წიგნი მეორე.

გამოვიდა შ. ჯანბერიძის ლექსების წიგნი. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო ხანებში ძალიან ბევრი გამოცემებს ვხედავთ. არის კერძო გამოცემებიც; სახელმწიფო გამომცემლობაც არ ზოგავს ძალ-ღონეს.

კერძო გამოცემები, რომელიც ახლა სწარმოებს, ასე არას დროს არ ყოფილა საქართველოში. აბა რომელი პოეტი გამოსცემდა თავისი ფულით უწინ წიგნს?

ცხადია საბჭოთა მთავრობა დიდ დახმარებას უწევს მწერლობას და მწერლებს.

შ. ჯანბერიძე ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტია. მას აკლია ცხადია დახვეწა, ჩამოყალიბება-გარკვეული გზა. მისი წიგნიდან ყოველ შემთხვევაში არ სჩანს ეს გარკვეული გზა. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ის პოეტია, და ისეთი პოეტი, რომელმაც ოქტომბერი იწამა. ამისი საბუთია მისი ლექსი „ორი ძმა“, „შრომის გენიოსი“, პირველი მაისი“ და სხვა. განსაკუთრებით კარგია ეს უკანასკნელი ლექსი.

ლექსი: „მანქანების დამბლა“ კარგია, მაგრამ სათაური არ შეესაბამება შინაარს. „ბურჟუაზიას დამბლა“ და არა მანქანებს. ყოველ-შემთხვევაში პროლეტარული პოეტი, არ იტყვის მანქანების დამბლის შესახებ.

კარგია აგრეთვე ლექსი: „ქარის მაყრობა“ და „მადონას ბავშვი“.

წიგნში არის სუსტი ლექსებიც მაგალითად „აღლო“, „ქეიფი მარანში“ და სხვა.

ჩვენ ვუსურვებთ ახალგაზრდა პოეტს მეტ დაკვირვებას და წინსვლას.

ბოგდიხანი.

○ კინო ○

რ უ ს ე თ ი

● საშოქალაქო ომი. სევზაპკინოს გარდა სურათისა „წითელი პარტიზანები“, განზრახვა აქვს გადაიღოს მთელი რიგი სურათები სამოქალაქო ომის პერიოდიდან.

● კინო ლიტერატურა. სევზაპკინოს სამხატვრო საბჭო აწყობს გამომცემლობას კინოლიტერატურის გემოსაშვებათ.

● მეცნიერული სურათები. მთელ რიგ სამეცნიერო სურათების გადასაღებათ სევზაპკინომ მოიწვია მეცნიერები: პროფ. ბეხტერევი, პროფ. პავლოვი, პროფ. იოფფე და განსვენებული პროფ. კრავკოვის ასისტენტები.

● სცენარების კონკურსი. სევზაპკინო ახლო ხანში აპირებს კონკურსის გამოცხადებას სცენარებზე.

● საბავშო სურათები. სევზაპკინოს სამხატვრო საბჭოს საშკოლო სექცია ახლო ხანში შეუდგება საბავშო სურათების გადაღებას.

● საგიტაციო სურათი. სევზაპკინო ამზადებს საგიტაციო სურათს „დაზღვევა—გლეხის დაცვა.“ სურათი გადაღებული იქნება კლინის მაზრაში, ხანძრისგან განადგურებულ სოფელში.

● „წინ და მაღლა“. გოსკინო მოკლე ხანში დაამთავრებს სურათს „წინ და მაღლა“. სცენარი დაწერილია საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების დავალებით. სურათი გვიხატავს წითელი არმიისა და წითელი საჰაერო ფლოტის ცხოვრებას.

● „გიპნოზი და შთაგონება“ მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტმა საბჭოთა კავშირისათვის შეიძინა მეცნიერული სურათი „გიპნოზი და შთაგონება“.

● „რ. კ. პ. მეცამეტე ყრილობა“. გოსკინომ გადაიღო რუსეთის კომუნისტური პარტიის მეცამეტე ყრილობა.

● „სტეპან ხალტურინი“-ს აღდგენა. „სტეპან ხალტურინი-“ს აღდგენა უკვე დაიწყო. სურათი დაიდგმება ახალი დეკორაციებით.

● „შავი გრიგალი“ გოსკინომ მიიღო დასადგამათ სცენარი „შავი გრიგალი“

● სტეპან ხალტურინის“ დაწვა „სევზაპკინოს“ ლიბორატორიაში ხანძარის დროს დაიწვა სურათი „სტეპან ხალტურინ“.

● „ვიატკა წარსულში და აწმყოში“. ვიატკის საგუბერნიო პროფსაბჭომ წინადადება მისცა სევზაპკინოს გადაიღოს სურათი „ვიატკა წარსულში და აწმყოში.“

● „თევზის მრეწველობა“. „კინო-სევერმა“ სპეციალური ექსპედიცია გაგზავნა მუგანსკში „თევზის მრეწველობის გადასაღებათ.

● „აელიტა“ კინო-ამხანაგობამ „რუს“ დამთავრა „აელიტას“ გადაღება.

● „ბრძოლა სიცოცხლისთვის“ სამთო-მანდო წარმოების მუშების ც. კ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან ერთად გამოუშვა სურათი „ბრძოლა სიცოცხლისთვის“.

● „ტროიას დაცემა“ მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტის კინო-ბიურომ საბჭოთა კავშირისათვის შეიძინა სურათი „ტროიას დაცემა.“

● „ელექტროფიკაცია“ პროლეტკინმა დამთავრა სამეცნიერო-პოპულიარული სურათის „ელექტროფიკაცია“-ს გადაღება.

● გაფიცვის ისტორია. პროლეტკულტის კოლექტივი ამზადებს ურათს „გაფიცვის ისტორია“.

● პუგაჩევი. „კინო-მოსკოვი“ შეუდგა მზადებას ისტორიული სურათის „პუგაჩოვის“ გადასაღებათ“ სურათი მზად იქნება პუგაჩო-

ვის სიკვდილით დასჯის 150 წლის თავზე (1925 წ. 10 იანვარს.)

● „ლუნიჩის გვარი“ სევზაპკინო ამზადებს სურათს „ლუნიჩის გვარი“, ა. პ. ჩეხოვის მიხედვით.

● **შეგოლევის ახალი სცენარი.** სევზაპკინომ დაავალა შეგოლევს, „ციხე და სასახლეს“ სცენარის ავტორს, დასწეროს სცენარი „პუგაჩოვი“.

● **„ურჩი ვანო“.** გოსკინომ შეიძინა ა. ნელიდოვის სცენარი „ურჩი ვანო“.

● **„ისიურის დაბადება“** გოსკინომ მიიღო დასადგამათ შოგანოვის სცენარი „ისიურის დაბადება“ სცენარი წარმოადგენს ახალგაზრდა მუშის ცხოვრებას—კლასობრივი შეგნების ზრდას მასში და პროლეტარულ რევოლიუციაში აქტიურ მონაწილეობას.

● **„ორი დროშის ქვეშ“** „კინო სევერ“-მა ამერიკიდან მიიღო დიდი სურათი „ორი დროშის ქვეშ.“ ცნობილ მსახიობ ქალის პრისცილა დინის მონაწილეობით.

● **ამერიკული კომედიები.** „კინო-სევერმა მიიღო ამერიკიდან კინო კომედიების ახალი პარტია. სურათებში მონაწილეობას იღებენ ცხოველები, მიმიკონი-მსახიობი ჯეკი და 7 წლის უკვე ცნობილი, მსახიობი ბეპი პეგგი.

● **პურის წარმოება.** „კინო-სევერმა“ დაამთავრა გადაღება საწარმოო სურათის „პურის წარმოება“.

● **ეტნას ამოხეთქა.** იტალიის კინო-მრეწველების საამქიონერო საზოგადოებამ „სევზაპკინოს“ საჩუქათ გამოუგზავნა სურათი „ეტნას ამოხეთქა“, სამ ცალად.

● **იზვესტია“-ს მუშაობა.** „სევზაპკინოს“ მოსკოვის განყოფილება შეუდგა გადაღებას სურათისას „საბჭოთა კავშირის ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის „უწყებების“ ისტორია“.

● **„ბუხარის ცხოვრება“** სევზაპკინომ ბუხარაში სპეციალური ექსპედიცია გაგზავნა სურათების გადასაღებად ადგილობრივი ყოფა ცხოვრებიდან.

● **„ფედორა“** ლენინგრადისა და მოსკოვის კინო პრესა ძლიერ აქებს სურათს „ფედორა“.

● **„432 საიდუმლო“** რეჟისორი ხილკევიჩი შეუდგა გადაღებას სურათის „№ 432-ს საიდუმლო“, სცენარი ეკუთვნის ნ. აგნოვცევს.

● **მოსკოვის ქრონიკა.** სევზაპკინომ გადაიღო სხვა და სხვა სურათები მოსკოკის თანამედროვე ცხოვრებიდან.

● **„ჩაი“** დამთავრდა გადაღება პირველი საბჭოთა კინო კომედიის „ჩაი“ სურათები მონაწილეობას იღებს ცნობილი კომიკი ვ. შმიტგოფი.

● **მოსკოვის სამხატვრო თეატრის გამგზავრება.** მოსკოვის სამხატვრო თეატრის დასი, რომელიც მოსხოვში თამაშობდა მიმდინარე სეზონში, შემოდგომაზე ამერიკაში მიემგზავრება.

● **გაფრენა დედამიწის გარშემო.** გერმანელი კინო საზოგადოება „ელენ რიხტერ ფილმ“ ამზადებს სურათს გაფრენა დედამიწის გარშემო. მოქმედება სწარმოებს დედამიწეს ყველა კუთხეებში

● **„რადიო მეფე“.** გერმანიაში დიდ ინტერესი გამოიწვია ამერიკულმა სურათმა „რადიო-მეფე“.

უკრაინა.

● **„უკრაზია“.** გაძლიერების ტემპით სწარმოებს გადაღება სურსათის „უკრაზია“,

● **„ტყის მხეცი“.** გრძელდება გადაღება სურათის „ტყის მხეცი“, ბუზკოს სცენარით.

● **„წითელი ეშმაკუნები“.** მთელს უკრაინაში დიდი აღტაცება გამოიწვია სურათმა „წითელი ეშმაკუნები“.

ამერიკა.

● **„26“.** ბაქოში ჩავიდა რეჟისორი ბალიუზეკი, დიდი საგაზეთაციო სურათის „26 კომისარის“ დასადგამათ. სცენარი ეკუთვნის ბლიახინს, წითელი ეშმაკუნების ავტორს.

● **აზერბეიჯანის მეურნეობა.** აზერბეიჯანის ფოტო კინო სამმართველო აწარმოებს ეზადებას აზერბეიჯანის მეურნეობის გადასაღებათ. გადაღებული იქნება: სოფლის მეურნეობა, მეგამბეობა, მეღვინეობა, მეფუტკრეობა და სხვ.

● **ბაქოს მუშა.** აზერბეიჯანის ფოტო-კინო სამმართველო აწარმოებს ამზადებს სურათს ბაქოს მუშების ყოფა-ცხოვრებიდან—ბაქოს მუშა ქარხანაში, სახლში კლუბში, კომუჯრედში, დასვენების დროს და სხვ.

● **ნოსხობა კასპიის ზღვაზე.** ფოტო-კინო სამმართველო ამზადებს სურათს „ნაოსნობა კასპიის ზღვაზე“.

● **აზერბეიჯანის კინო-ქრონიკა.** გადაღებულია აზერბეიჯანის კინო-ქრონიკა № 1, № 2, № 3: თევზის მრეწველობა და აზერბეიჯანის აბრეშუმის მრეწველობა.

● **ბაქო-ჯულფას რკინის გზა.** დაიწყო გადაღება ბაქო-ჯულფას რკინის-გზის, რომელიც აზერბეიჯანს სპარსეთს უერთებს.

ყირიმი.

● **„ბრძოლა პერეკოპისათვის“.** კინო-საზოგადოება „ლევეფილმ“ ყირიმში დგამს სურათს „ბრძოლა პერეკოპისთვის“ (ვრანგელიანა). სურათს დგამს რეჟისორი ტურინი, რომელიც ახლახან დაბრუნდა ამერიკიდან.

● **„კედელს იქით“.** იგივე საზოგადოება დგამს სურათს „კედელს იქით“ და „ბორგინის დღესასწაული“.

● **ყირიმი ეკრანზე.** საზოგადოება „ლევეფილმ“ ამზადებს მთელ რიგ სურათებს ყირიმის ისტორიიდან.

გერმანია.

„მეხსალინა“. დამთავრდა გადაღება სურათის „მეხსალინა“.

„კაცი კაცის წინააღმდეგ“. ფირმა „ელორია ამზადებს სურათს „კაცი კაცის წინააღმდეგ“.

„ნაპოლეონი“. ბერლინის ფირმა „ვეგნეროვფილმ“ შეუდგა გადაღებას სურათისას „ნაპოლეონი“. სურათი იქნება ნაპოლეონის ისტორია დაბადებიდან სიკვდილამდი.

„ტრისტან და იზოლდა“. „რანდოლფფილ“ ამზადებს სურათს „ტრისტან და იზოლდა“.

„გვირაბი“ ეკრანზე. რიხარდ ოსვალდმა ეკრანისათვის გადაკეთა ბერნგარდ კელლერმანის რომანი „გვირაბი“.

„პიკის ქალი“. გერმანული კინო-საზოგადოება „ნაციონალფილმ“ ამზადებს სურათს „პიკის ქალი“. მონაწილეობას იღებენ მსახიობი ქალი ასტანილსენ და მისი ქმარი, მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობი გ. ხმარა.

„პეპლების ბრძოლა“. მსახიობ ქალის ასტა ნილსენის მონაწილეობით გადაღებული იქნება სურათი „პეპლების ბრძოლა“, ზუდერმანის მიხედვით.

„ანნა კარენინა“. „ნაციონალფილმ“ ამზადებს სურათს „ანნა კარენინა“, ლ. ტოლსტოის რომანის მიხედვით.

ნათარგმნი პიესები. ბერლინის თეატრებში უმთავრესად ნათარგნი პიესები იდგმება, ავტორები არიან რუსები, ინგლისელები და სხვ. (ლ. ანდრეევის „არ ჭკლა“, ურგანცევის „ვერა მირელევა“, სინგის—„გმირი“, ბ. შოუს—„ანდროკლი და ლომი“).

ამერიკა.

სურათები უცხოეთიდან. ამერიკის კინო-მრეწველობამ სრულიად განდევნა ამერიკის ბაზრიდან უცხოეთის სურათები. მაგალითად ამერიკაში მთელი წლის განმავლობაში უჩვენეს მხოლოდ 6 სურათი, უცხოეთში გადაღებული.

გენერალი რეჟისორის თანაშემწე. სურათის „ცეცხლის ქალი“ ს გადაღების დროს მეორე ხარისხოვან როლებზე მოწვეული არიან თეთრგვარდიელი ოფიცრები. რეჟისორის ტეხნიკურ თანაშემწეთ მოწვეულია რესტორან „ორიოლ“-ის პატრონი ყოფ. გენ. ლოდიუკენსკი.

გრიფიცი იტალიის შესახებ. ცნობილმა რეჟისორმა გრიფიცმა უთხო სთქვა იტალიაში სურათების დადგმაზე, რადგან, მისი თქმით, იტალიელებს კინო-ტეხნიკა არაფერათ არ უვარგათ.

სურათების რაოდენობა. ამერიკის კინო-საზოგადოებებმა (ტრესტებმა) 1923 წ. გამოუშვეს 2,000 სხვადასხვა სურათი, ე. ი. რამდენიმეჯერ მეტი ვიდრე დანარჩენ ქვეყნებში.

კინო-თეატრების რიცხვი. ამერიკაში 26,000 კინო-თეატრია, რომლებიც 8 მილიონ კაცს იტევს. ყოველკვირეულათ კინო-თეატრებში დაიარება 50.000 კაცი.

კინო-მსახიობების ჯამაგირები. მსახიობი დოროთი დალტონ კვირაში იღებს 15,000 მანეთს, ბლორია სვანსონ—12,000 მან., ლილიან გიშ—10,000 მან., ტომ მიჯს—8,000 მანეთს, შარბარალა მარ—7,000 მან., პრისელილა დინ—6,000 მან.

ხარჯები. კინო-თეატრების კაპიტალი უდრის სამ მილიარდ მანეთს. ყოველწლიურად რეკლამებზე იხარჯება 110 მილიონი მანეთი. კინო-წარმოებებში მუშაობს 350,000 კაცი.

ერთი კინო-თეატრის შემოსავალი. ამერიკული კინო-თეატრის „Famous players Lasny“-ს წმ. ნდა შემოსავალი 1923 წლის განმავლობაში უდრის 9 მილიონ მანეთს.

ინგლისი.

„ევერესტის დაპყრობა“. ერთმა ინგლისურმა კინო-საზოგადოებამ გადაიღო სურათი „ევერესტის დაპყრობა“ (ევერესტი უდიდესი მწვერვალია აზიაში). სურათი გადაიღო სპეციალურმა ექსპედიციამ, რომელიც სამეცნიერო მიზნით იყო გაგზავნილი აზიაში.

ლონდონი ღამით. ერთმა გერმანელმა, რომელიც აღტაცებაში მოიყვანა ლონდონმა ღამით, ეკრანზე გადაიღო ეს სურათი.

ნარევი

განძი ზღვის ფსკერზე

კანადის სასამართლომ მოკლე ხანში მეტად საინტერესო საკითხი უნდა გადასწყვიტოს.

საქმის შინაარსი ასეთია: ერთი ამერიკელი კინო საზოგადოებას სურათისათვის ზღვის ფსკერი უნდა გადაეღო. ყველაზე ხელსაყრელად ამისათვის ჩასთვალეს ადგილი ინგლისის კუთვნილ კუნძულის შაფფინას ახლო. როცა მსახიობი ანნა ტალეი დაეშვა ზღვის ფსკერზე, იქ მან იპოვა ხის ყუთი. დიდის გაკვირვებით ამოიტანა მან ეს ყუთი ზევით და შიგ აღმოჩნდა მეორე, რკინის ყუთი. როცა ეს ყუთი გასტეხეს, შიგ აღმოჩნდა 100 ძველი ესპანური ოქრო მეთექვსმეტე—მეჩვიდმეტე საუკუნის. ამ ფულის ღირებულება ახლა ოქრის 1,000,000 ათასი (მილიარდი) ფრანკს ოქროთი. ინგლისი ამ განძს თავისად სთვლის, რადგან ყუთი იპოვეს მის ტერიტორიაზე. მსახიობი ანნა ტალეი კი ამტკიცებს, რომ განძი მას ეკუთვნის, რადგან ის რომ ზღვაში არ ჩაშვებულიყო ვინ იპოვიდა ყუთს.

სასამართლოს განაჩენის მოლოდინში განძი ინახება კანადის ბანკის სარდაფში.

ხელოვნების ქრონიკა

ხარიტონ ვარდოშვილი—ლექსების წიგნი. გამოვიდა და იყიდება ხარიტონ ვარდოშვილის ლექსების წიგნი. წიგნი ლამაზად და კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი. გამოცემა ალ. არაბიძისა.

წამების ჯვარი. გამოვიდა და იყიდება სიო ხიდისთაველის მოთხრობა „წამების ჯვარი“ ავტორის სურათით და კრიტიკული განხილვით.

„ბურჟუები ჯოჯოხეთში“. გამოვიდა და იყიდება სილ. თორდიას მიერ გადმოკეთებული პიესები: „ბურჟუები ჯოჯოხეთში ანუ ჯოჯოხეთის ტრესტი“ და **პასუხისმგებელი მუშაკის ცოლი“** არხიპ იუჟინისა.

„რევოლიუციის მატიანე“ გამოვიდა და იყიდება ჟურნალი „რევოლიუციის მატიანე“ № 2 (7) ჟურნალი სქელი ტანისაა.

„ხელოვნების დროშა“ ამ დღეებში გამოვა ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ყოველთვიური ჟურნალი „ხელოვნების დროშის“ მეორე ნომერი.

„როგორ შევიდა მონაზონი სამოთხეში“. სილ. თორდიამ გადმოაკეთა დემიან ბედნის პოემა: „როგორ შევიდა მონაზონი სამოთხეში, რომელიც უკვე გამოვიდა წიგნად.

„დინამატები“ ქუთაისის პროლეტარულ მწერალთა კავშირმა გამოუშვა თავისი პერიოდიული ჟურნალი „დინამიტები“

H2S04 გამოვიდა და იყიდება ფუტურისტების ჟურნალი H2S04 პირველი ნომერი.

პროლეტკულტის რეპერტუარი. პროლეტკულტის პრეზიდიუმი შეუდგა პროლეტკულტისათვის რეპერტუარის შედგენას.

პროლეტკულტის ქართული სტუდია. პროლეტკულტის დრამატ. სტუდიამ მოამზადა მოშავალი სეზონისთვის „ცხვრის წყარო“.

ტერენტი გრანელის წიგნი. გამოვიდა ტერენტი გრანელის წიგნი: „Momento mori“, რომელიც შეიცავს 90 გვერდს.

ბიულეტენი. გამოვიდა წითელი ჯვრის ბიულეტენის მეორე ნომერი.

სამხედრო ტეხნიკური ლექსიკონი. გამოვიდა სამხედრო ტეხნიკური ლექსიკონი შედგენილი ცაგარელის მიერ.

კ. კეკელიძის წიგნი. გამოვიდა და იყიდება კ. კეკელიძის წიგნი: „ქართული ლიტერატურის ისტორია“.

სახელმწ. სათეატრო ინსტიტუტის დრამ. სკოლის მოწაფეების გამოცდის დამთავრება. სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტის დრამ. სტუდიის მსმენელებმა რიცხვით 28 კაცმა ჩაბარეს გამოცდა.

ქართული მუსიკის მეორე სიმფონიური კონცერტი. ამას წინად გამართულმა ქართულ მუსიკის სიმფონიურმა კონცერტმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე.

ჟურნალი „მნათობი“. გამოვიდა ჟურნალ „მნათობის“ მე-4 ნომერი. ჟურნალი დიდი ფორმატის არის.

„რემედასი“ გამოვიდა ჟურნალი რემედასი. ჟურნალში მოთავსებულია საინტერესო მასალები რევოლიუციის ისტორიიდან.

ფ. მახარაძის ნაწერების მეორე ტომი იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ფ. მახარაძის ნაწერების მეორე ტომი, წიგნში შედის წერილები ეროვნული და აგრარული საკითხების შესახებ.

ჟურნალი „დროშა“ იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ჟურნალი „დროშა“-ს მე-16 ნომერი.

გ. ხეჩუაშვილის ნაწერები. პოლიტ-განათლების მთავარ მმართველობამ გამოსცა სანდრო ეულის რედაქტორობით გ. ხეჩუაშვილის ნაწერების პირველი ტომი.

პროლეტარულ პიესია-მუსიკის საღამო. საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის კლუბში მოწყობილი იქნა პროლეტარული პიესია-მუსიკის საღამო. საღამომ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზე.

„თვითმშრომელთა კლუბი“ „თვითმშრომელთა მუშათა კლუბში მოწყობილი იქნა საღამო, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო კ. ფოცხვერაშვილის აკადემიურ გუნდმა და პოეტმა ზომლეთელმა. საღამო „ქირგათ ჩატარდა.

„რევოლიუციის მატიანე“ დაიწყო მეექვსე „რევოლიუციის მატიანეს“ მე-3 (8) ჟურნალი გამოვა 20 აგვისტომდე.

„კავშირი“ გამოვიდა და იყიდება „ცეკავშირის“ საკოოპერაციო ჟურნალი: „კავშირი“.

ფ. მახარაძის ძველი წერილები. შემთხვევით აღმოჩენილი იქნა ფ. მახარაძის საპოლემიკო წერილები 1892—3 წ. წ., რომელიც დაიბეჭდება და მალე გამოვა ცალკე წიგნად.

ჟურნალი „პროფკავშირი“ ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებით დაიხურა ჟურნალი „პროფკავშირი“.

დახმარება წითელ თეატრს. ქ. აღმასკომმა გადასდო წითელ თეატრისათვის 12.000 მანეთი ერთდროულ დახმარების სახით.

მომავალი სეზონი წითელ თეატრის მომავალი სეზონი გაიხსნება არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა. დადგმული იქნება მთელი რიგი ახალი პიესებისა.

მე-4 შრომის სკოლის საღამო 19 ივლისს მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიმართა რკინის გზის მე-4 შრომის სკოლის მოწაფეების საღამო. წრეს ხელმძღვანელობდა ალექსანდრე ვაშაკიძე.

საღამო პოლიტ-კატორღელთა სასარგებლოდ. სამშაბათს, 22 ივლისს, ბაღში „არტო“. გაიმართა დიდი წარმოდგენა-კონცერტი პოლიტ-კატორღელთა სასარგებლოდ.

კინო სოფლად. სამაზრო აღმასკომებმა გადაწყვიტენ ძოაწყონ სოფლად სურათების ჩვენება უფასოდ.

სამხედრო ორკესტრი მილიციისათვის. ქ. აღმასკომმა მილიციისათვის სამხედრო ორკესტრის მოწყობისათვის გადასდო 12 ათასი მანეთი.

ლენინის ძეგლი. ქ. ქუთაისის აღმასკომმა მოქანდაკე ნიკოლაძეს შეუკვეთა ლენინის ძეგლი, რომელიც დადგმული იქნება ახალ თეატრის წინ.

თეატრი ცაგერში. ცაგერში (ლეჩხუმი) უკვე დასრულდა თეატრის აგება და დაიწყო საღამო-წარმოდგენების გამართვა.

მგოსან ბაჩანას საღამო მთიდან ტფილისში ჩამოვიდა მგოსანი ბაჩანა, რომელიც გამართავს თავის საღამოს.

ეკლესიები სახალხო სახლებად. ლეჩხუმის მთელ მაზრაში მცხოვრებთა დადგენილებით, ყველა ეკლესიები გადაკეთებულია სახალხო სახლებათ.

სანიტარული განათლების გამოფენა პროვინციაში. გორში, გომში და საჩხერეში გაიხსნა სანიტარულ განათლების გამოფენა.

ახალი წიგნი. გამოვიდა და იყიდება სახელგამის გამოცემა ჯეკ ლონდონის—რკინის ქუსლი.

ნ. ლენინის ნაწერები. სახელგამმა გამოსცა ნ. ლენინის: „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი კომუნიზმში“.

ახალი წიგნი. სახელგამმა გამოსცა გ. პლეხანოვის სარწმუნოების შესახებ (სამი წერილი).

„ფოლადის წეროები“. ახლო ხანში ტფილისში გადაღებული იქნება ეკრანზე ახალი სურათი: „ფოლადის წეროები“.

„რეკვიემ“. გამოვიდა პ. მანსვეტაშვილის მიერ დაწერილი მუსიკალური ნაწარმოები ამხ. კამოს ხსოვნის აღსანიშნავად: „რეკვიემ“.

სამუსიკო საზოგადოება. ბათომში დაარსდა სამუსიკო საზოგადოება, რომლის დებულება დაამტკიცა აჭარის განათლების განყოფილებამ.

დ. კობიძის წიგნი. იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა ახალგაზრ[illegible] პოეტის დ. კობიძის ლექსების წიგნი.

პლეხანოვის თეატრის დასის დაშლა. პლეხანოვის თეატრის ყოფილი დასი დაიშალა, მის მაგიერ შესდგა ახალი.

ძეგლი მამია გურიელის საფლავზე. ქუთაისის აღმასკომმა გადასწყვიტა პოეტი მამია გურიელის ძეგლის აგება.

სახ. კინო მრეწველობა. სახ. კინო მრეწველობის რეჟისორთა კოლეგიაში მიწვეულია რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა.

კინო-ინვალიდების ცხოვრებიდან. ახლო ხანში ტფილისში გადაღებული იქნება მხატვრული სურათი ინვალიდების ცხოვრებიდან.

ოვანეს თუმანიანის ნაწერები. ა.-კ. ცენტრალურ აღმასკომმა წინადადება მისცა ა.-კ ფინსახკომს ოვანეს თუმანიანის ქართულად გამოცემისათვის განათლების კომისარიატის განკარგულებაში გადასდოს 2.500 მან.

სახალხო სახლი. ა.-კ. ცაკმა ლაჩრუთის სახ. სახლის ასაგებად გადასდო 1000 მანეთი.

ქართული სტუდია მოსკოვში. ორ აგვისტომდე ხელოვანთა კომიტეტში მიიღება არსებულ მეექვსეშვილის სახელობის სახელმწიფო ქართულ დრამატიულ სტუდიაში შესასვლელი განცხადებები.

მოძრავი თეატრი. ტფილისში არსდება მოძრავი თეატრი, რომელიც მიზნად ისახავს პროვინციისათვის სამსახურის გაწევას.

აკადემიური გუნდის კონცერტი. 12 ივლის ახალ კლუბში გაიმართა კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით აკადემიური გუნდის კონცერტი.

სპორტი

რუსეთი.

რუსი ფუტბოლისტები რურში. ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს განზრახვა აქვს გაგზავნოს ქ. ესსენში და შტეტისში მუშათა სასპორტო ორგანიზაციების დღესასწაულზე რუსი ფუდბოლისტები.

მოსკოვი-ლონდონი მოტოციკლეტით. ტრანსპორტის მუშათა ც. კ. ავტო-კლუბის მოტოსექცია მიმდინარე წელს აწყობს შეჯიბრებას მოტოციკლეტებით მოსკოვ-ლონდონს შორის მანძილის გავლაზე.

საფრანგეთი.

მუშათა სასპორტო დღესასწაული. ივლისის შუა რიცხვებში პარიზში იმართება საფრანგეთის მუშათა სასპორტო ორგანიზაციების დღესასწაული. მოწვეული არიან საბჭოთა კავშირის სასპორტო ორგანიზაციები.

სტამბა „ზარია“ ვოსტოკასი საშა წულუკიძის ქუჩა № 4.